# საქრისტიანო მოძღვრება.

## საქართველოს რომის კათოლიკე ყრმათათვის.



კოსტანდინე-პოლს.

ანთუან გვიზალიანის სტამბაში.

1877

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს რომის კათოლიკე ყრმათათვის.



კოსტანტინე-პოლის.

ანთუან გვარშალიანის სტამბაში.

1877

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი ესე ისყიდება სტამბოლს ჩინილი ხანში რუბენ აღა ჭოქოციანის მაღაზიაში ნუმერო . . . . . . 5.

ესრეთვე კალათას მხითარისტების წიგნის მაღაზიაში ფერშემბე ბაზარს სეღბონს ხანში ნუმერო . . . . . 4.

ფასი ოთხი შაური გინა ოცი კაპეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხოლიო.

ეს საქრისტიანო მოძღვარებას არის თჳთ ჳნდაგბადად წოდებული საქრისტიანო იგი, რომელიც მრავალი საუკუნოების აქეთ აქვსთ კელთ-წერილად ხმარებული საქართველოს რომის კათოლიკეთა, რომლითაც ასწავლიან იგინი კათეხიზს თაჳანთ წვრილ ყრმათა სკოლებში. გარნა რადგან ხელთ წერილი იგი იყო ძველთაგან ფრიად მდარე ქართულზედ აღწერილი, ამისთჳს აწ შესწორდა რიერთიც შეიძლებოდა ადვილ გასაგებელ ქართულზედ და ეგრედ დაისტამბა სადიდებლად ღვთისა, პატივსათჳს დედუფლისა ჩვენისა ღვთის-მშობელი ქალწული მარიამისა და სასარგებლოდ რომის კათოლიკეთ საზოგადოების ყრმათა.



საფარველსა ქვეშე შენსა დაფარვით დაგვიფარე, წმიდაო ღვთის მშობელო, სათხოვარსა ჩვენსა ნუ უგულვებელს ჰყოფ ჭირთა შინა ჩვენთა, არამედ ყოველისა წარწყმედილებისაგან გვიხსენ ჩვენ მარადის ქალწულო, დიდებულო, და კურთხეულო.

## საქრისტიანო მოძღვრება.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ა მ ი ნ.

## ნაწილი პირველი.

### მრწამსის განმარტებისა ზედა.

### თავი. ა.

### სარწმუნოებისა, იმედისა და სიყვარულისა ზედა.

კითხვა. ვინ დაგბადა შენ?
მიგება. ღმერთმან.

კ. რისათჳს დაგბადა შენ ღმერთმან?

მ. ამისთჳს, რომ ჰცნა ღმერთი შევიყვარო და ვემსახურო მას ამ ქვეყანაზედ, და მერმე წაჯდე სასუფეველში.

კ. რა უნდა ჰქმნას კაცმან რათა კარგად

იცნას ღმერთი, ემსახუროს მას, ამ ქვეყანაზედ, და მერმე წაჳდეს სასუფეველში ?

მ. უნდა რომ სრული ქრისტიანი იყოს.

კ. რავდენნი საქმენი ეჭირებიან კაცსა რათა იყოს იგი სრული ქრისტიანი ?

მ. სამნი, ჳთარცა: ა. სარწმუნოება.
ბ. იმედი და. გ. სიყვარული.

კ. რა არის სარწმუნოება ?

მ. არის ის ზეშთა ბუნებრიჳ სათნოება, რომლითაც მტკიცედ გვრწამს ჩვენ ყოველი იგი რაჲც გამოუცხადებია ღმერთისა, და რაჲცა ჰრწამს წმიდა კათოლიკე, და სამოციქულო ეკკლესიასა.

კ. რისათჳს გვრწამს ჩვენ ეგე ყოველი ?

მ. ამისთჳს რომ რადგან ღმერთი არ-ჯჳს მოატყუებს, და არცადა მოსტყუვდება, თჳთ იმას გამოუცხადებია ესე ყოველი წმიდისა ეკკლესიისათჳს, და წმიდა ეკკლესიაცა გჳბრძანებს ჩვენ მათ რწმუნებასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. რა არის იმედი?

მ. არის ის ზეშთა ბუნებრიჲ სათნოება, რომლითაც ჩვენ მოველით დიდის სასოებით იმ სიკეთებსა, რომლებსაც დაგვპირების ჩვენ ღმერთი.

კ. რა სიკეთებს დაგვპირების ჩვენ ღმერთი?

მ. დაგვპირების სააქაოს ჩვენი ცხონებისათჳს საჭირო მადლების მოცემასა, და საიქიოს სასუფეველსა.

კ. რა იმედით მოელი სააქაოს მადლესა, და საიქიოს სასუფეველსა?

მ. ამ იმედით რომ რადგან ღმერთი ყოვლის-მპყრობელი არის, შეუძლია მოცემა მათი, რადგან კეთილი და მოწყალე არის, სურის მოცემაცა მათი, და რადგან მორწმუნე არის, ჰნებავს პირობის აღსრულება, და მოცემა იმ ყოვლისა, რომლებსაცა თჳთ დაგვპირების.

კ. რა თუობით დაგვპირების ღმერთი ჩვენ სასუფეველსა?

მ. ამ თუობით: თუ რომ ჩვენც ჩვენს კერძოდ დაჲცვამთ იმის ბრძანებაებსა, და

ჳქმით კეთილთა საქმეთა, მაშინ [illegible]-
სო ქრისტის მადლისა, და ღირსეულო-
ბისათჳს გჳბოძებს ჩვენ სასუფეველსა.

კ. რა არის სიყვარული?

მ. არის ის ზეშთა ბუნებრიჳ სათნოე-
ბა რომლით უნდა შეჳყვაროთ ჩვენ ღმე-
რთი, და მოყვასიცა.

კ. რა ნაირად უნდა შეჳყვაროთ ჩვენ
ღმერთი?

მ. უნდა შეჳყვაროთ ჩვენ იგი ყოველი
გაჩენილებისაგან უფროს მომეტებუ-
ლად, ამიტომ რომ ღმერთი განუზომე-
ლი და ყოვლად დიდი კეთილი არის.

კ. როგორ უნდა შეჳყვაროთ ჩვენ ღმე-
რთი ყოველი გაჩენილებისაგან უფრო
მომეტებულად?

მ. ასრე რომ ყოველი ჟამიერი კეთი-
ლის დაკარგვა უფრო უნდა ჳრჩიოთ, ჳ-
რემც ცოდჳს ქმნა და მით ღვთის შეწყე-
ნა.

კ. რისთჳს და რა ნაირად უნდა შეჳყვა-
როთ მოყვასი ჩვენი?

მ. რადგან ღმერთი გჳბრძანებს მოყჳ-

სის შეყვარებასა, ამისთჳს უნდა შევიყვა-როთ მოყჳსი ჩვენი ჳთარცა თავი ჩვენი, ნათესაჳ იყოს, მეგობარი, თუ მტერი, სიყვარულისათჳს ღვთისა, ესრედ რომ როგორც ჩვენთჳს ბოროტი არ გჳნდა, არცაღა მოყჳსისათჳს უნდა ჳნებოთ იგი. და როგორც ჩვენთჳს კეთილი გჳნდა, ისრე მოყჳსისათჳსაც უნდა გჳნდოდეს კეთილი.

კ. რა ნიშნით უნდა შეჳტყოთ ნუ თუ ჭეშმარიტად გჳყვარს ჩვენ ღმერთი და მოყვასი?

მ. როდესაც ჩვენ ღვთისა და წმიდა ეკკლესიის ბრძანებაებს დაჳცვამთ და აღვასრულებთ, ამითი გამოჩნდება რომ ჩვენ მართლა გჳყვარს ღმერთი და მოყვასიცა.

კ. რამდენად საჭირო არიან ეგ სამნი ღვაწლნი გინა სათნოებანი, ესე იგი, სარწმუნოება, იმედი, და სიყვარული?

მ. დიდად საჭირო არიან: ასრე რომ თუ ქრისტიანმან წელიწადში მრავალჯერ გულხმიერად არ მოიგონოს, და არ ირწმუნოს სარწმუნოების თავი საიდუმლო-

ნი, ამასთანვე საღმრთო იმედი, და სიყ-ვარულიც რომ არ გაახლოს; მძიმედ შე-სცოდამს.

კ. რა ჰქჳანთ მაგ სამ ღვაწლთა გინა სათნოებათა?

მ. საღმრთო გინა ღვთის მეტყველებ-რივნი ღვაწლნი, რადგან სამნივე პირ-დაპირ ღმერთს უმზერენ, ესე იგი, რომ ღმერთი გვრწამს, ღვთისაგან იმედი გვა-ქუს, და ღმერთი გჳყვარს.

კ. მითხარი მაშ, როგორ უნდა განჳ-მეორებდეთ მალ მალ მაგ საღმრთო ღვაწლთა?

მ. ასრე. უნდა განჳმეოროთ და ვსთქვათ ხოლმე;

ლოცვანი ყოველ დილით და სა-ღამოთი სათქმელნი მრთელი გულითა.

ა. საქმე სარწმუნოებისა.

ღმერთო ჩემო მრწამს მე მტკიცედ რომ შენ ხარ მხოლოდ ერთი ღმერთი,

სამთა თანასწორთა და განრჩეულთა გვამთა შინა, რომელთა ეწოდებისთ მამა, ძე, და სული წმიდა. კვალად რომ ამ ყოვლად წმიდა სამების მეორე გვამი, ჳთამც, ძე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე გარდამოხდა ზეცით განკაცდა, ჯვარს ეცვა და მოკვდა ჩვენის დახსნისათჳს, აღსდგა მკუდრეთით და ამაღლდა ზეცას. ესრეთვე რომ ჩვენი სული არის უკვდაჳ, და შენც ღმერთო მართალო მოსამართლევ, მართალთა მიაგებ საიქიოს სასუფეველის დიდებასა და ცოდვილთა საუკუნო ჯოჯოხეთის სატანჯველსა. ამათ გარდა მრწამს და ვწყნარულობ კვალად ყოველსა მას რაჲცა სწამს და წყნარულობს წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია. და ესე ყოველი მრწამს მე ამისთჳს რამეთუ შენ ღმერთო, რომელი დაუსრულებელი ჭეშმარიტება ხარ არ მოატყუებ და არც მოსტყუვდები, ესრედ გამოგიცხადებია ესენი წმიდის ეკკლესიისათჳს, და იგიცა მიბრძანებს მე რწმუნებასა მათსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბ. საქმე იმედისა.

ღმერთო ჩემო რადგან შენ ყოვლის შემპყრობელი, მოწყალე და სარწმუნო ხარ, ამისთჳს მე დიდი იმედი მაქუს შენზედ, რომ ჩემი სული ცხონდება იესო ქრისტეს სატანჯველის ძალითა, და ჩემი კეთილი საქციელის შემოქმედებითა, რომელსაცა გპირდები და კიდევაც აღვასრულებ შეწევნითა შენითა.

## გ. საქმე სიყვარულისა.

უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, რადგან შენ ყოვლად სახიერი და დაუსრულებლად საყვარელი-ხარ, ყოვლითა გულითა, სულითა, და გონებითა ჩემითა მიყვარხარ და მიყვარს მოყვასიცა ჩემი როგორცა თავი ჩემი შენის სიყვარულისათჳს.

## დ. საქმე სრული სინანულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო ჩემო, რამეთუ ხარ შენ განუზომელი კეთილი, ამისთჳს მიყუარხარ ყოვლითა გულითა უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, და რამეთუ მიყუარხარ, ამისთჳს ვინანულობ და ვსწუხვარ ჭეშმარიტის გულითა ყოველთა ცოდვათა ჩემთა ზედა, რამეთუ მათით შემიწყენიხარ შენ, ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ მე, მომიტევე უფალო ყოველნი ცოდვანი ჩემნი რომელნი რამეთუ არიან საძულველნი და საწყენნი შენნი, ამისთჳს მეც მძულს იგინი, შეურაცხ-ვჰყოფ მათ ყოვლითა გულითა უფროს ყოვლისა ბოროტისაგან, და მტკიცედ გპირდები ამიერით არღარა შეცოდებასა მადლითა შენითა, განშორებასა ცოდვათაგან, და მიზეზთაგანაც ცოდვათა, აწიერით უმეტესად მნებავს სიკვდილი ვრემ-მცდა კვალად შეცოდება შენი. ა მ ი ნ.

ვედრება სხქმე სრული სინანულისა.

უფალო და ღმერთო ჩემო, სიმდაბლით დავრდომილი წინაშე გამოუთქმელი დიდების შენისა, თაყვანსაგცემ, მრწამხარ, გესავ და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, რადგან შენის დაუსრულებელი სისრულისათჳს ღირსად ყოველი რამისაგან უმეფრო შესაყვარებელი და მისაჩნევ ხარ შენ. ესრეთვე მიყვარს, მიმაჩნია და მირჩევნია მე ნება შენი და მცნებანი შენნი უფროს ყოვლისა კეთილისაგან. და რადგან გძულს შენ ყოველი ცოდვა, ამისთჳს მეც მძულს ყოველნი ცოდვანი ჩემნი და მარადის სატირელნი და საგლოველნი არიან იგინი ჩემთჳს უფროს ყოვლისა ბოროტისაგან, ამისთჳს მრთელი გულითა ჩემითა ვნანულობ და ვსწუხვარ ყოველს ჩემს ცოდვებზედა, არა მისთჳს, რომ მათით დამიკარგავს მე სასუფეველი და მომიგია ჯოჯოხეთი, არამედ იმისათჳს რომ იმ ცოდვებით შე-

გაწყინე შენ, ჵი განუზომელო კეთილო, ნეტამც ათასჯერ მომკვდარ ჳყავ და არც ერთხელ არ შემეცოდებინა და არ შემეწყინე შენ. ვსდებ მტკიცე პირობასაც და გპირდები რომ ამიერითი უმფრო ჳრჩიო ათასჯერ სიკვდილი და ყოველი ზიანი, ჳრემც თუ ერთხელ კიდევ შეგაწყინო შენ ცოდჳთა, არამედ მინდა მოვშორდე ყოველს ცოდვასა და ცოდჳს მიზეზთაცა, ჳხმარო ( ეს და ის ) საშუალობანი კელმეორ ცოდვაში ჩაუვარდნელობისათჳს, და გაჳსწორო სიცოცხლე ჩემი ყოვლითურთ მადლითა შენითა, აკურთხე უფალო პირობა ესე ჩემი რათა ეგრედ აღვასრულო ყოველი ჳთარცა გპირდები აწ და მოწყალებიჲა შენითა შემინდევ ცოდვანი ჩემნი.

ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ, რომელი ხარ დედა მარადის კეთილში გამძლეობისა, მფარველო ანგელოზო ჩემო, სეხნა წმიდაო, და ყოველნო წმიდანო ღვთისანო, ევედრენით ჩემთჳს ღმერთსა, მომიშოვნეთ მისგან ყოველი ჩემთჳს საჭირო სულიერი

თუ ჯორ ციელი წყალობა, განმტკიცებულეთ ყოველი შეწუხებისა და შევწროებისაგან და უფროისი ერთი მეოხებითა თქვენითა დამიფარეთ მე ყოველი ცოდვისაგან დღეს, და მარადის, ყოველი განსაცდელისაგან სულისა და ხორცისა, დაუშზადებელი სიკვდილისაგან. და ღირს მყავთ რათა სიკვდილის წამს დავავედრო სული ჩემი კეთილად ღვთის მადლში საქებლად და სადიდებლად ღვთისა მარადის თქვენთან ერთად სასუფეველსა შინა ცათასა, ამინ.

თავი. ბ.

სარწმუნოების მთავარ ნაწილთა ზედა.

კ. შენ ქრისტიანი ხარ?

მ. ჰე ქრისტიანი ვარ ღვთის წყალობითა.

კ, ქრისტიანი ვინ არის?

მ. იგი, ვინც მონათლული არის, აღიარებს სარწმუნოებასა, და საჯულსა იესო ქრისტისასა.

ბიბლიოთეკა

კ. ქრისტიანის სარწმუნოების რომ[illegible] არის?

მ. მრწამსში გინა აღსარება მოციქულთა.

კ. თქუ აღსარება მოციქულთა?

მ. მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა-მპყრობელი, ცისა და ქვეყნისა დამბადებელი. და იესო ქრისტე ჩვენი უფალი ძე მისი მხოლოდ შობილი, რომელი, მიუდგა სულისა მიერ წმიდისა, იშობა ქალწული მარიამისაგან, ივნო პონტოელი პილატეს ზე, ჯვარს ეცვა, მოკვდა, და დაიმარხა, ჯოჯოხეთში შთაჯდა, მესამესა დღესა აღსდგა მკვდრეთით, ზეცას ამაღლდა, ზის ღვთის ყოვლის მპყრობელის მამის მარჯვენით, იქიდგან უნდა მოჴდეს ცოცხალთა და მკვდართა გასასამართლებლად; მრწამს სული წმიდა, წმიდა ეკკლესია კათოლიკე, წმიდათა წილდებულობა, ცოდვათა შენდობა, კორცით აღდგომა, საუკუნო ცხოვრება ამინ.

კ. ქრისტიანის ნიშანი რა არის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. წმიდა ჯვარი.

კ. გამოისახე წმიდა ჯვარი?

მ. სახელითა მამისათა, ✝ და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ა მ ი ნ.

კ. რავდენი საიდუმლონი არიან მაგ წმიდა ჯვარის ნიშანში?

მ. ორნი ჳთამც: ა. ერთება და სამება ღვთისა. ბ. განხორციელება, და სიკვდილი მაცხოვრისა ჩვენისა.

კ. როგორ არიან ეგ ორნი საიდუმლონი წმიდა ჯვარის ნიშანში?

მ. პირველი საიდუმლო ასრე არის რომ როდისაც პირს ჯვრის წერაში ვამბობთ სახელითა და არა სახელებითა: მაშინ ვაღჳარებთ ერთებასა ღვთისასა, და როდისაც ცალ-ცალკე ვამბობთ მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამ სამი სახელის თქმით ვაღჳარებთ სამებასა ღვთისასა. მეორე საიდუმლოც ასრე იპოების, რომ როდესაც პირს-ჯვარს დაჳწერთ, მაშინ ვაღჳარებთ რომ ძე ღვთისა განჴორციელდა და ძელის ჯვარზედ მოკვდა ჩვენის დახსნისა და ცხონებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ერთება ღვთისა რა არის ?

მ. ერთი ღმერთი .

კ. სამება ღვთისა რა არის .

მ. სამი გვამი .

კ. განხორციელება და სიკვდილი მაცხოვრისა ჩვენისა რა არის ?

მ. ეს არის რომ ძე ღვთისა განხორციელდა და ძელის ჯვარზედ მოკვდა ჩვენის დახსნისათჳს .

## თავი . გ .

### წმიდა სამებასა ზედა .

კ. წმიდა სამება რა არის ?

მ. ერთი ღმერთი სამი გვამი .

კ. ღმერთი ჳნ არის ?

მ. დამბადებელი ცათა და ქვეყანისა .

კ. ღმერთი სად არის ?

მ. არის ყოველს ადგილსა .

კ. ზეცას არის ? მ. ჰე .

კ. ქვეყანაზედ ? მ. ჰე .

კ. ჯოჯოხეთში ? მ. ჰე .

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ზეცას როგორ არის ?

მ. ერთი დიდი მეფესავით.

კ. ქვეყანაზედ როგორ არის ?

მ. ერთი დიდი წინამძღვარისავით.

კ. ჯოჯოხეთში როგორ არის ?

მ. ერთი ძლიერი მოსამართლესავით.

კ. რადგან ღმერთი ყოველს ადგილს არის მაშ აქაც არის ?

მ. დიახ აქაც არის.

კ. თუ რომ აქაც არის რატომ ვერა ვხედავთ მას ?

მ. ამიტომ რომ ღმერთი არის სული: და რადგან სული უხილავი და უსხეულო არის, ამისთვის არც თვალით დაინახება იგი და არც ხელით შეიხება.

კ. ღმერთსა აქვს დასაბამი ?

მ. ღმერთსა არა აქვს არცა დასაბამი და არცა ექმნება დასასრული რადგან საუკუნო არის იგი.

კ. მითხარი სხვა რაგვარნიმე სისრულენიცა ღვთისანი ?

მ. ღმერთი არის ყოვლადა სრული, ყოვლის შემძლებელი, ყოვლად კეთილი, ყო-

ნუზომელი, მართალი, და წმიდა, არა
რაჲ არის დაფარული მის წინაშე, ჰხე-
დავს იგი ყოველს რასმეს, და სცნობს
იმავ ყოვლის განზრახვასა ფიქრისასა, და
ფარულსა გულისა ჩვენისასა.

კ. რავდენი ღმერთი არის?

მ. ერთი ღმერთი.

კ. რავდენი გვამი აქვს?

მ. სამი ჯთამც: მამა, ძე, და სული წმიდა.

კ. მამა ღმერთი არის? მ. ჰე.

კ. ძე ღმერთი არის? მ. ჰე.

კ. სული წმიდა ღმერთი არის?

მ. ჰე.

კ. მაშ სამნი ღმერთნი არიან?

მ. არა მაგრამ ერთი ღმერთი სამი გვა-
მი.

კ. პეტრე ერთი კაცი, პავლე ერთი კა-
ცი, იოვანე ერთი კაცი; ხომ სამნი კა-
ცნი არიან? მ. ჰე.

კ. ასრევე მამა ღმერთი, ძე ღმერთი, და
სული წმიდა ღმერთი, სამნი ღმერთნი
არიან?

მ. არა მაგრამ ერთი ღმერთი სამი გვამი,

კ. რა განსხვავება აქვსთ?

მ. ეს განსხვავება, რომ პეტრეს, პა-ვლეს, და იოვანეს თჳთოს თჳთო ბუნება აქვსთ, მაგრამ მამასა, ძესა, და სულსა წმიდასა, ერთი იგივე ბუნება, და ერთი იგივე ღვთაება აქვსთ.

კ. ერთი ბუნების თქმა მწვალებლობა არის თუ არა?

მ. ქრისტეზედ თქმა მწვალებლობა არის, მაგრამ წმიდა სამებაზედ (ერთი ბუნების თქმა) მართალი არის.

კ. მაშ ქრისტეს რავდენი ბუნება აქვს?

მ, ორი, ჳთამც ღვთაების ბუნება, და კაცების ბუნება.

კ. კაცების ბუნება რა არის?

მ. სიტყჳერი სული და ხორცი ერთმან ერთთან შეერთებული.

კ. ქრისტეს რავდენი გვამი აქვს?

მ. მხოლოდ ერთი გვამი, ღვთაებისა.

კ. კაცების გვამიც აქვს?

მ. არა.

კ. გვამი რა არის?

მ. თაჳთ თჳსით მყოფობა გულის-ხმ-

ის-მყოფელი და განრჩეული სხვათაგან.

კ. სამ გვამთაგანი, რომელი არის უდი-დესი, უბრძნესი, და ანუ უფრო შემძლე?

მ. სამნივე ყოვლითურთ თანასწორნი არიან.

კ. რატომ?

მ. ამიტომ რომ სამთავეში ერთი იგი-ვე არსება არის, და ერთი იგივე ღვთაება.

კ. მაშ როგორ განირჩევიან ერთმან ერ-თისაგან?

მ. ასრე, რომ მამა არავისაგან არ გა-მოვალს, ძე მამისაგან იშობების, და სუ-ლი წმიდა მამისაგან, და ძისაგან გამო-დის.

## თავი. დ.

### განკორციელებასა-ზედა ძისა ღვთისა.

კ. სამ გვამთაგანი ერთი გვამი განკა-ცდა?

მ. ჰე.

კ. რომელი გვამი განკაცდა?

მ. ძე.

კ. მამაც განკაცდა?    მ. ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. სული წმიდაც განკაცდა?

მ. არა, მაგრამ მარტო ძე.

კ. ძე რისათჳს განკაცდა?

მ. ჩვენის დახსნისათჳს.

კ. ჳსშიდ განკაცდა?

მ. ღვთის-მშობლის მარიამის მუცელ-შიდ.

კ. რომელს ქალაქში განკაცდა?

მ. ნაზარეთის ქალაქსა.

კ. რომელს დღეს განკაცდა?

მ. მარტის ოცდა ხუთს ხარებაა დღეს; როდესაც გაბრიელ მთავარ ანგელოზი ზეცით მოევლინა, და უთხრა მარიამსა, « გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ უფალი შენთანა; და მერმე მარიამმანცა მიუგო, და უთხრა » აჰა მხევალი უფლისა, მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა » მაშინ ძე ღვთისა განკაცდა.

კ. განკაცება რა თქმა არის?

მ. თქმა არის, რომ ჩვენი მსგავსი სხეული და კორცი მიიღო ძემან ღვთისამან ქალწული მარიამისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. განკაცებულს ძესა ღვთისასა, რა სა-ხელი ჰქჳან?

მ. იესო ქრისტე.

კ. იესო ქრისტე რა თქმა არის?

მ. განკაცებული ძე ღვთისა, სრული ღმერთი, და სრული კაცი.

კ. იესო რა თქმა არის?

მ. სოფლის მხსნელი გინა მაცხოვარი.

კ. რათ ჰქვიან აგრე?

მ. იმისათჳს რომ თავისი სიკვდილით სოფელი დაიხსნა.

კ. ქრისტე რაღა თქმა არის?

მ. ცხებული ღვთისა.

კ. რატომ ჰქჳან ეგრეთ?

მ. ამიტომ რომ მისი კაცება ღვთაე-ბით საცხებელიჳთ იცხო.

კ. ქრისტე რამდენს თვეს დაშთა ქალ-წული მარიამის მუცელში?

მ. ცხრა თვეს და შემდგომად იშობა.

## თავი . ქ .

### უფლისა ჩვენისა შობასა ზედა .

კ . უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელს დღეს იშობა ?

მ . დეკემბრის თჳს ოცდა ხუთსა .

კ . რა დროს იშობა ?

მ . შუაღამისა .

კ . რომელს ქალაქში იშობა ?

მ . ბეთლემის ქალაქში .

კ . ჳსგან იშობა ?

მ . ქალწული მარიამისაგან .

კ . მარიამ ქალწულად დაშთა შობის შემდგომ ? მ . ჰე .

კ . ხომ იყო ქრისტე შობილი მამა ღმერთისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნოეთა ?

მ . დიაღ შობილი იყო .

კ . მაშ როგორადა იშობა მეორედ მარიამ ქალწულისაგან ?

მ . ქრისტე მამა ღმერთისაგან შობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო თჳსი ღვთაების ბუნებით. და მეორედ იშობა ქალწული მარიამისაგან თჳსი კაცების ბუნებით.

კ, ჳნ არის ქრისტეს მამა კაცებრივ?

მ. ქრისტე კაცებრივ დედისაგან არის უმამოდ, როგორც ღვთაებრივ მამისაგან არის უდედოდ.

თავი. ვ.

## ქრისტე უფლის ვნებასა და სიკვდილსა ზედა.

კ. უფალი ჩვენი იესო ქრისტე რავდენი წელიწადი დადგა ქვეყანასა ზედა?

მ. ოცდა ათსამეტი წელიწადი, და სამი თვე.

კ. მაგითონ ხანს რა ჰქმნა!

მ. გვასწავლა გზა სასუფეველისა, სიტყვითა, საქმითა, და სასწაულ-მოქმედებითა.

კ. სიტყვით როგორ გვასწავლა?

მ. ესრედ რომ ჰქადაგებდა წმიდა სახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებასა, რომელი არის გზა ცხოვრებისა

კ. საქმით როგორ გვასწავლა?

მ. ესრეთ რომ რასაც ჰქადაგებდა, პირველად თვითან ასრულებდა იმას საქმითა და ამით თავის წმიდა ცხოვრებას გვაძლევდა ჩვენ მაგალითად ყოველი დვაწლისა, რათა შევუდგეთ მას, მივებაძოთ და მივამსგავსოთ ჩვენი ცხოვრება იმის წმიდა ცხოვრებასა. ?

კ. სასწაულ-მოქმედებით როგორ გვასწავლა.

მ. ესრეთ რომ ღვთიური ძალითა თვისითა ჰკურნებდა ბრმათა, ყრუთა, ბლუთა, კეთროვანთა, განრღვეულთა, მკელობელთა, უბრძანებდა ქარსა ზღვასა და იქმნებოდა დაყუდება დიდი, აღადგენდა მკვდართა, და ამ ნაირი დიდ დიდი სასწაულების ქმნით ამტკიცებდა რომ თავისი მოძღვარება იყო ღვთიური. ვითარცა ქრისტეს ამაღლების შემდგომ მოციქულთა და მოწაფეთაცა ჰყვეს იესოს სახელის ძალითა ესევე სასწაულები უანგარიშოდ და ამითი დაუმტკიცეს მრთელს ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანასა რომ მხოლოდ ქრისტეს სარწმუ-
ნოება არის ღვთიური და ჭეშმარიტი
სარწმუნოება.

კ. მის შემდგომ?

მ. შემდგომად მოკუდა.

კ. რასათვის მოკუდა?

მ. ჩვენი ცხოვრებისათვის.

კ. რა დღეს მოკუდა?

მ. დიდ პარასკევსა.

კ. სად მოკუდა?

მ. იერუსალემის ქალაქში.

კ. რაზედ მოკუდა?

მ. ძელის ჯუარზედ.

კ. ქრისტე ხომ ღმერთი იყო?

მ. ჰე ღმერთი იყო.

კ. თუ რომ ღმერთი იყო, როგორ მოკუდა?

მ. ქრისტე მოკუდა თავისი კაცების ბუნებითა, მაგრამ თავისი ღვთაების ბუნებით არ მოკუდა.

კ. რა მაგალითს მეტყვი, რომ მე ეგ კარგად შევიტყო?

მ. ამ მაგალითს, რომ როდესაც კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკუდება ჴორცით მოკუდება, და სული დაშთება უკვდავი, ასრევე ქრისტე რომ მოკუდა, თავისი კაცების ბუნებით მოკუდა, და არა თუ თავისი ღვთაების ბუნებითა.

კ. ქრისტეს სიკუდილის შემდგომ რა მოხუდა?

მ. მისი წმიდა ხორცი გარდმოხსნეს ჯუარითგან, და ახალს საფლავში დამარხეს.

კ. მისი წმიდა ჴორცი რავდენ დღეს დაშთა საფლავში?

მ. სამ დღეს ვითამც, პარასკევი ღამე, შაფათი დღე ღამე სრულიად, და კვირა გათენებამდისინ, და შემდგომ აღსდგა.

კ. იმ დროს ქრისტეს სული სად წავიდა?

მ. შთავიდა ლიმბოს თქმულ ჯოჯოხეთში დასახსნელად მართალთ სულებისა, რომელნიც იქ ელოდნენ ქრისტეს მოსვლასა.

კ. როდისაც მკუდარი იყო იესო ქრისტე, კაცების ბუნება გაეყარა ღუთაების ბუნებასა, თუ არა?

მ. თუმცა სული ქრისტესი გაეყარა ჴორცსა, მაგრამ ღუთაება კი არ გაეყარა არცა სულსა, და არცა ჴორცსა.

კ. მართალია, ვინც ამბობენ, რომ ქრისტემ დააქცია ჯოჯოხეთიო?

მ. თუ ასრე სთქუან რომ, ქრისტემ დააქცია, და დააცარიელა მართალთ ჯოჯოხეთი, და დაიხსნა იგინი იმ ჯოჯოხეთისაგან მართალია; და თუ თქვან რომ ქრისტემ დააქცია და დააცალიერა ცოდვილთ ჯოჯოხეთი, და ახლა ცოდვილნი ჯოჯოხეთში აღარ არიანო, ტყვილი არის.

## თავი. Ⴆ.

## ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასა ზედა.

კ. უფალი ჩვენი იესო ქრისტე რომელს დღეს აღსდგა?

მ. აღდგომა დღეს.

კ. ვინ აღადგინა ქრისტე?

მ. თვითან თჳვისი თავი აღადგინა.

ბიბლიოთეკა

კ. თუ რომ ქრისტე აღდგა, მაშ მკუდა-რი ყოფილა?

ღ. ჰე მკუდარი იყო.

კ. თუ რომ ქრისტემ თვითან თავისი თავი აღადგინა, მაშ ცოცხალი ყოფილა?

მ. ჰე ცოცხალი იყო.

კ. როგორ შეეძლო ქრისტეს ცოცხ-ლად ყოფნა, და მკუდრად ყოფნა?

მ. ქრისტე ცოცხალი იყო თავისი ღუ-თაების ბუნებითა, და მკუდარი თავისი კაცების ბუნებითა: ღუთაება რომ ცოც-ხალი იყო, იმან აღადგინა ის მკუდარი კაცება.

კ. ქრისტემ თავისი აღდგომის შემდ-გომ რა ჰქმნა?

მ. ორმეოც დღეს დაჰყრა თავის მო-ციქულებთან, და მოწაფებთანა, ამტკი-ცებდა თავს აღდგომასა, არწმუნებდა, და ასწავლიდა მათ გზასა სასუფეველისასა; და შემდგომ ამაღლდა ზეცად, და დაჯდა მამა ღმერთის მარჯვნითა,

კ. რას მოასწავებს ქრისტეს მარჯვე-ნით დაჯდომა თავის მამასთანა?

მ. მოასწავებს იმასთან თანასწორობასა ყოვლის მპყრობელობითა, დიდებითა, და სუფევითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი. ტ.

ქრისტეს ზეცად ამაღლებასა ზედა.

კ. ქრისტე როგორ ამაღლდა ზეცას?
მ. ამაღლდა მარტო თავისი ძლიერებითა.
კ. რომელი ბუნებით ამაღლდა ზეცად?
მ. კაცების ბუნებითა.
კ. ღვთაების ბუნებითაც ამაღლდა?
მ. არა. კ. რასათვის?
მ. ამისთვის, რომ ღვთაების ბუნებით ყოველგან არის, და ზეცასაც იყო, ამიტომ ღვთაების ბუნებით არ ამაღლდა ზეცას.
კ. მაშ რა ამაღლდა ზეცას?
მ. კაცების ბუნება, რომელიც უწინ არ იყო ზეცას.
კ. ახლა ქრისტე სად არის?
მ. თავისი ღვთაების ბუნებით ყოვლ-

გან არის, და თაჳსი გაცების ბუნებით მხოლოდ ზეცას არის, და ყოვლად წმიდა ზიარებაში.

## თავი. თ.

## სული წმიდის მოფენასა ზედა.

კ. იესო ქრისტის ამაღლების შემდგომ რა მოხვდა?

მ. ქრისტემ თაჳსი ამაღლების ათი დღის შემდგომ მოუვლინა სული წმიდა თაჳს მოციქულებსა, და მოწაფეებსა.

კ. რომელ დღეს მოევლინათ სული წმიდა მოციქულთა და მოწაფეთა?

მ. პენტეკოსტის დღეს ჯთამც; სული წმიდის მოსვლის დღესა.

კ. რატომ მოუვლინა ქრისტემ სული წმიდა თაჳს მოციქულთა და მოწაფეთა?

მ. ამიტომ რომ სული წმიდის მადლით შეეძლოთ, იმათ უშიშრად და ცხადად ქადაგება ქრისტესი ყოველს ქვეყანასა ზედა, რათა რომ მოექციათ ურწმუ-

ნონი ქრისტიანედ და აენთოთ მათი გულნი ღვთის სიყვარულის ცეცხლითა.

კ. ქრისტე კიდევ მოსასვლელი არს ქვეყანასა-ზედა?

მ. დიახ მოსასვლელი არის ამ ქვეყნის დასასრულსა.

კ. რასათჳს არის მოსასვლელი?

მ. ყოველთ კაცთა-ზედა სამართლის საქმნელად; რომ ყოველს თჳსი საქმის დაგვარ მიაგოს, მართალთ სასუფეველი და ცოდჳლთ ჯოჯოხეთი.

კ. აქამდინ შენ კარგად გამომითარგმნე მე საიდუმლო წმიდა სამებისა; განკაცება ძისა ღვთისა, მისი შობა, და სიცოცხლე, მისი სიკვდილი, მისი აღდგომა, და ამაღლება, აგრეთვე სული წმიდის მოსვლა: აწ კიდევ სხვა რაჲმეც არის, რომ უნდა გვრწამდეს ჩვენ?

მ. დიახ, უნდა გვრწამდეს ჩვენ კვალდაის ყოველი რასაც გვასწავლის ჩვენ წმიდა ეკკლესია.

## თავი . ი .

### წმიდა ეკკლესიისა და მრწამსის დანაშთთ ნაწილთა ზედა .

კ . წმიდა ეკლესია რა არის ?

მ . არის სიმრავლე გინა კრება ყოველთა მორწმუნეთა , რომელნიც ემორჩილებიან ერთ მწყემსსა რომის წმიდა პაპსა , რომელიც არის იესო ქრისტის მაგიერი , და თავ ყოველთა ქრისტიანეთა .

კ . რა თქმა არის წმიდათა წილდებულება ?

მ . წმიდათა წილდებულება თქმა არის რომ რაც ლოცვა წირვა და სხვა კეთილი იმოქმედება წმიდა ეკკლესიაში , ამ ყოველსაში მონაწილეობა აქვსთ მორწმუნეთა ცოცხალთა თუ მიცვალებულთა .

კ . რა თქმა არის ცოდვათა შენდობა ?

მ . თქმა არის რომ წმიდა ეკკლესიაში არიან საიდუმლონი , რომლებითაც ჩვენ ცოდვანი შეგვენდობიან .

კ. რა თქმა არის ხორცით აღდგომა?

მ. თქმა არის რომ მეორედ მოსვლისა დროს ღვთის ნებით ჩვენ ყოველნი მკვდრეთით აღვსდგებით ამა ჩვენივე კორცითა, და წარვდგებით წინაშე ქრისტესი საყოვლიერო სამართალში. და რაც ყოველ კაცს თაჳს სიკვდილის წამს მიუდის ადრითვე საცალკეო სამართალში სულითა თაჳს საქმის დაგვარ დიდება ანუ პატიჟი, მაშინ იმ საზოგადო სამართალში სულით და კორცითაც მიიღებს თჳთოეული მათგანი იმავე მისაღებელსა, რათა მით საქვეყნოდ აღმოჩნდეს ღვთის მოწყალება და სიმართლე.

კ. რად ღებულობს სული კორცის წინ განაჩენსა?

მ. რადგან სული ღვთის ხატია მძვრელი და მაცხოვრებელი კორცისა, ამისთვის სიკვდილის წამსვე მიიღებს იგი თაჳს ხვედრსა: და ამისათჳს არის რომ განწესებულია ხსენება მიცვალებულთა ეკკლესიაში ლოცჳთა, წირჳთა და სხვა კეთილ მოქმედებითა მათ შესაწევნელად.

კ. რა თქმა არის საუკუნო ცხოვრება?
მ. ის არის, რომ შემდგომად საზოგადო გინა საყოვლიერო სამართლისა, რომელნიც მართალნი არიან, სულით ჴორცით საუკუნოდ სასუფეველში წავლენ, და რომელნიც ცოდვილნი იქმნებიან, სულით ჴორცით საუკუნოდ ჯოჯოხეთში წავლენ.

ნაწილი მეორე .

## ლოცვისა , მოწყალებისა და მარხვისა ზედა .

### თავი . ა .

### ლოცვისა ზედა .

კ . ჩვენის ცხოვნებისათჳს გვეყოფა ჩვენ მხოლოდ სარწმუნოება ?

მ . არ გვეყოფა .

კ . მაშ სხვა რაღა გვეჭირება ?

მ . კეთილის ქმნა , და ბოროტისაგან მოშორება .

კ . რომელნი არიან უმთავრესნი კეთილნი საქმენი , რომ უნდა ვჰქმნათ ჩვენ ?

მ . ეს სამნი არიან , ჳთამც : ლოცვა , მოწყალება , და მარხვა .

კ . რომელი არის თაჳ ლოცვა რომ ყოველმან ქრისტიანმან უნდა იცოდეს ?

მ. საუფლო ლოცვა, ჳთამეც მამაო ჩვენო.

კ. თქჳ მამაო ჩვენო?

მ. მამაო ჩვენო, რომელი-ხარ ცათა შინა წმიდა იყავნ სახელი შენი მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ჳთარცა ცა-თა შინა, ეგრეცა ქვეყანასა-ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ჳთარ-ცა ჩვენც მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენ-თა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ა მ ი ნ.

კ. ჩვენ გვმართებს წმინდანების მიმა-რთ ლოცვა?

მ. დიაღ გვმართებს უფრო წმიდა მა-რიამ ღვთის-მშობლის მიმართ, და ჩვენი მფარველი ანგელოზისა.

კ. რა ლოცვას იტყჳ წმიდა მარიამ ღვ-თის-მშობლის მიმართ?

მ. ჳტყჳ: გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა იესო.

წმიდაო მარიამ დედაო ღვთისაო, მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდჳლთა აწ და ჟამსა სიკვდილისა ჩვენისასა ა მ ი ნ.

კ. რა ლოცვას იტყჳ მფარველი ანგელოზის მიმართ?

მ. ჳტყჳ: ღვთის ანგელოზო, რომ ჩემი მფარველი-ხარ, მე შენ მოგნდობი ვარ ღვთის წყალობითა, ყოველს ჟამს განმანათლე, დამიფარე, მიწინამძღვარე, და დამარიგე ა მ ი ნ.

კ. რა და რა ლოცვებს იტყჳ ხოლმე დღიურად?

მ. ა. დილით გამოღჳძების შემდგომ და საღამოთი ძილად წასვლის უწინ ჳტყჳ მამაო ჩვენოს, გიხაროდენს, წამსსა, საქმე სარწმუნოებისას, იმედისას, სიყვარულისას, სინანულისას, ღვთის ანგელოზოს, და დიდება მამასა.

ბ. ამათ გარდა დილ:ობით ჳქმ ხოლმე ფიქრის ლოცვასა, რომელიმე ფიქრის ლოცჳს წიგნიდამ წაკითხჳთ საფიქრებელი ნივთისა და იმაზედ ფიქრობით; მერე ლოცჳს წიგნიდამ ჳტყჳ დილის

ლოცვასა, და მოჰსმენ წმიდა წირვასა.

გ. საღამობით წაჰკითხავ ერთი ჩარექის ოდენ ხანს რომელიმე სულიერს წიგნსა. ჰქმ გულის ტანჯჳს გამოძიებასა, თუ ის დღე კეთილად გავატარე, ანუ თუ ღმერთს რამე შევაწყინე? რათა სინანული ვჰქმნა იმაზედ პირობის დადებითურთ რომ მეორე დღეს აღარ მომიხვდეს ის ნაკლებულება; მის შემდგომ ჰტუჰ ლოცვის წიგნიდამ საღამოს ლოცვას, სავარდსა, და ღვთის-მშობლის ლითანიასა.

დ. ორ კჳრაში ანუ თვეში ერთხელ გავენდობი, და ვეზიარები ხოლმე.

ამ ზემო ხსენებულს წურთვასა არა მარტო ვასრულებ მე, არამედ ჩემთან ერთად ასრულებს ამ სახითვე მრთელი ჩვენი ოჯახობაცა, მამა დედა, ძმები და დები ჩემნი, რადგან ყველამ ჰცით რომ ესოფერი კეთილი წურთვანი ფრიად საჭიროარიან კეთილი ცხოვრების გატარებისათჳს. ესრეთვე რომ ღვთის კურთხევა ჩამოვა იმ ოჯახზედ, რომელიცა შემოჰკ-

რებს დილა საღამოთი თავს სახლეულე-ბსა ერთობით აღსასრულებლად ზემო-ხსენებულთა ლოცვათა და კეთილთა წუ-რთვათა .

თავი . ბ .

მოწყალებისა ზედა .

კ . რავდენ ნაირი არიან მოწყალების საქმენი ?

მ . ორ ნაირნი , ვითამც , სულიერი მო-წყალებისა და ხორციელი მოწყალების საქმენი .

კ . რავდენი არიან სულიერი მოწყალე-ბის საქმენი ?

მ . არიან შვიდნი ესენი .

ა . ეჭვანთ განწურთვნა .

ბ . უმეცართ სწავლება .

გ . ცოდვილთ დატუქსვა .

დ . მოწყენილთ გულის დადება .

ე . შემცოდეთ შენდობა .

ვ . ჭირთ სულ-გრძელობით მოთმენა .

ზ . ვედრება ღვთისა ცოცხალთათჳს და მკვდართათჳს .

კ . რავდენი არიან ხორციელი მოწყალების საქმენი ?

მ . არიან შჳდნი ესენი .

ა . მშიერთ ჭმევა

ბ . მწყურვალეთ სმევა .

გ . შიშველთ შემოსვა .

დ . უცხოთა დაყენება .

ე . სნეულთ ნახვა.

ვ . ტყუეთ მიხედვა .

ზ . მკვდართ დამარხვა .

## თავი . გ .

### მარხვის შენახვისა ზედა .

კ . ქრისტიანნი ჰმართებს მარხჳს შენახვა ? მ . დიად ჰმართებს, და ჳნც ავ მუცლობით მარხვასა ჰსჭამს მომაკვდინებლად შესცოდავს .

კ . როგორ უნდა შეინახოს მარხვა ? მ . ისე როგორც წმიდა ეკკლესიას უბ-

რძანების თჳთოეული ქრისტიანისათჳს თაჳსი საეკკლესიო ტიპიკონისაებრ.

კ. სხვა რაღა გვეჭირვება ჩვენ, რათა კე-თილი ვჰქმნათ და ბოროტისაგან მოვშო-რდეთ?

მ. გვმართებს ჩვენ, რომ ღვთის ბრძა-ნებანი, და წმიდა ეკკლესიის ბრძანებანი შეჳნახოთ.

---

## ნაწილი მესამე.

### ღვთის და წმიდა ეკკლესიის ბრძანებათჳს

### ზოგად.

### თავი. ა.

### მცნებათა ზედა ღვთისა.

კ. რავდენნი არიან ღვთის ბრძანებანი?

მ. არიან ათნი ესენი.

ა. მე ვარ უფალი და ღმერთი შენი; ჩე-მს მეტი სხვა ღმერთი ნუ იყოს.

ბ. ჩემს სახელს ტყუილად და ფუჭად ნუ დაიფიცავ. გ. კჳრა იცოდე და უქმე შეინახე.

დ. მამასა და დედას პატიჳ ეც რომ დღეგრძელ იყო.

ე. კაცს ნუ მოჰკლავ.

ვ. ბოზობას ნუ იქმ.

ზ. ქურდობას ნუ იქმ.

ჱ. ტყუილად ნუ დაემოწმები.

თ. სხჳს ცოლისა და ქალს ნუ მოინდომებ.

ი. სხჳს საქონელი ნუ შეგშურდება.

თავი. ბ.

განმარტება პირველი მცნებისა.

კ. პირველი ბრძანებით რას გჳბრძანებს ჩვენ ღმერთი?

მ. გჳბრძანებს რათა შეჳყვაროთ ღმერთი ყოვლითა გულითა ჩვენითა უფროს ყოვლისა რაიმისაგან, პატიჳ ვსცეთ მას ჳთარცა გამჩენსა და უმწვერვალესსა უფა-

ლსა ჩვენსა, და ვემსახუროთ მას სარწმუნოებით, იმედით, და სიყვარულით. ამისთჳს გვმართებს რათა ვყოთ მორჩილნი ღვთისანი და აღმასრულებელნი ნებისა მისისა დაცჳთ ცნებათა მისთა, ხშირად ვლოცულობდეთ ხოლმე, და ვემსახურებოდეთ მას იმ ნაირად, რა ნაირადაც იმას უბრძანების ჭეშმარიტს სჯულსა შინა თჳსსა.

## თავი. გ.

### განმარტება მეორე მცნებისა.

კ. მეორე ბრძანებით რას გვბრძანებს ჩვენ ღმერთი?

მ. ა გვბრძანებს რათა პატივ ვცეთ სახელსა ღვთისასა, და არა წარმოვსთქვათ ხოლმე იგი, თუ არ შესაბამი კდემითა.

ბ. არ დავიფიცოთ სახელი ღვთისა თუ არ სიმართლითა, და სამართალში დაჭირების დროს.

გ. შეუყოვნელად აღვასრულოთ თუ

რამე აღთქმა გვქმნია ღმერთთან ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. შეუსრულოთ მოყვასსა ის ჯეროვანი პირობა, რომელსაც დავჰპირებივართ მას ფიცითა.

თავი. დ.

განმარტება მესამე მცნებისა.

კ. მესამე ბრძანებითი რას გვბრძანებს ჩვენ ღმერთი?

მ. ა. გვბრძანებს რათა წმიდად განვატაროთ კჳრანი და ბრძანებულნი ჳუქმე დღენი: ამისთჳს ვალი გვაქვს, პირველად რათა ამისთანა წმიდა დღეებში მოჳსმინოთ მხურვალებით წმიდა წირვა.

ბ. რათა მუშაობისა და ყოველი მონებრივ საქმისაგან შორს დავსდგეთ.

გ. რათა ლოცვასზედ და სხვა ღვთის სამსახურის საქმეებზედ მოჳცალოთ, ჳმოქმედოთ კეთილი და განვეშოროთ ცოდვასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი . ე .

## განმარტება მეოთხე მცნებისა .

კ . მეოთხე ბრძანებით რას გჳბრძანებს ჩვენ ღმერთი ?

მ . ა . გჳბრძანებს რათა შეჳყვაროთ მამა ჩვენი და დედა ჩვენი , რადგან შემდგომად ღვთისა , რომელს გაუჩენივართ , მშობელნი არიან იარაღნი მყოფობისა ჩვენისა , რომელნი ზრუნვენ ყოველ ნაირი შრომით და შეწუხებით ჩვენი აღზრდისა , და გაწურთვნისათჳს .

ბ . რათა პატივ ვსცეთ მათ , რადგან ჩვენდა მომართ ღვთის მოადგილენი არიან იგინი ქვეყანასა-ზედა .

გ . რათა ვემორჩილოთ მათ და იმათი მხილებისაგან ნაყოფი გამოვჴღოთ ხოლმე , რამეთუ ღმერთს მიუცია იმათთჳს ეს შეძლება ჩვენზედ რათა იმის მაგიერად გჳბრძანონ ხოლმე ჩვენ .

დ . რათა შევეწიოთ მშობელთა ჩვენთა

საქმებში და უფროსიერთი მათს დაწყო[illegible]-
ბაშიდ.

ე. რათა პატივ ვსცეთ ხოლმე სულიერთ მამათა და მოძღვართა ჩვენთა; ჯთამც ეპისკოპოზთა, მღვდელთა, და მასწავლებელთა ჩვენთა,

ვ. მოსამსახურეთაცა ვალი აქვსთ რათა პატივ სცენ თავანთ ბატონს, ემორჩილონ, ერთ გულობით ემსახურონ იმას, და დაიცვან საცხოვრებელნი მისნი.

## თავი. ვ.

## განმარტება მეხუთე მცნებისა.

კ. მეხუთე ბრძანებით რას გჳბრძანებს ჩვენ ღმერთი?

მ. ა. გჳბრძანებს რათა არ ვავნოთ არცა ჩვენს სიცოცხლესა და არცა მოყჳსის სიცოცხლესა.

ბ. რათა ვსძლიოთ მრისხანებას, მიუტევოთ გულით მტერსა, ყველასთან მოთმინებითა და სიმშვიდით ჳცოცხლოთ.

ამისთჳს სასტიკად გჳშლის ღმერთი.

ა. მოკვლასა და დაკოდვასა კაცისასა.

ბ. გჳშლის ღმერთი მრისხანებასა, შურსა, სიმძულვარესა, შურის-ძიებასა, ცემასა, უსამართლობის-ქმნასა, აჳს მონდომებასა მოყჳსისათჳს, ჩხუბსა, გინებასა, წყევლასა, გალანძღვასა, და გაუპატიურებასა მოყვასისასა.

გ. გჳშლის ღმერთი რათა ჩვენის აჳს შეგონებითა, ანუ ბოროტი მაგალითის ჩვენებით არ მივსცეთ მიზეზი ჳსმეს ცოდვაში ჩავარდნისა, რომლით შევსცოდამთ დაბრკოლების ცოდჳთა წინაღმდეგად ამა მეხუთე ბრძანებისა.

## თავი. ზ.

### განმარტება მეექვსე მცნებისა.

კ. მეექვსე ბრძანებით რას გჳშლის ჩვენ ღმერთი?

მ. გჳშლის ყოველს აგ-ხორცობის და უწმიდურს საქმესა, უწმიდურს შეხებასა

და უწმიდურს ლაპარაკსა წინააღმდეგსა უბიწოების წმიდა სათნოებისასა. ამისთჳს უნდა მოვშორდეთ ხოლმე მარადის ავს ფიქრებსა, ბოროტს ამხანაგებსა, საცდურთან შექცევასა, ცუდაობასა, უზომო ჭამა-სმასა, და გარდანამეტს ჩაცმა დახურვასა და მორთულობასა. ჩვენი ჴორცი რადგან ტაძარია სული წმიდისა, ამისთჳს არ უნდა შევაგინოთ და არ უნდა გავამანკიეროთ იგი არაოდეს.

თავი. ტ.

## განმარტება მეშვიდე მცნებისა

კ. მეშჳდე ბრძანებით რას გჳშლის ჩვენ ღმერთი?

მ. ა. გჳშლის რათა არ მოჳპაროთ რამე გინა არ აჳღოთ ფარულად სხჳს საქონელი, და ანუ ძალით არ წაჳტაცოთ და არ წავართვათ ჳსმეს რამე.

ბ. გჳშლის რათა სხჳს საქონელი პატ-

რონის უნებურად არ შეჳნახოთ ჩვენთანა.

გ. გჳშლის რათა სხვას ზიანი არ მივსცეთ, და სხჳს ზიანის მიცემაში წილდებული არ გავხდეთ. ამისთჳს თუ ჳსმესაგან მოგჳპარია რამე, ან ჳსმესათჳს ძალით წარგჳტაცნია რამე და ან უსამართლობით ზიანი მიგჳცია ჳსმესთჳს, საჭიროა რათა უკანვე შეუბრუნოთ პატრონსა ის მოპარული და ის წანატაცი რამე, და ვუზღოთ გინა შეუთავოთ იმას ის ჩვენგნით მიცემული ზიანი, თუ არა უსამისოთ, ოდეს შეგჳძლია სხჳს საქონლის შებრუნება, და არ შეუბრუნამთ, ვერ მიჳღებთ ჩვენი ცოდვების შენდობასა ვერაოდეს, რადგან ღმერთი გჳავალებს მიცემას და გარდახდასა მოყვასისადმი იმ რამისა, რომელიც იმისია და რაც იმას ეკუთვნის. ამის-გამო რაოდნად ფრიად დამჭირნენი და შეწუხებულნიც რომ ჳყოთ სიგლახაკისაგან, მაინც ვალი გვაქვს რათა ჳშრომოთ და ჩვენის ოფლით მოჳშოვნოთ ჩვენი სარჩო, ანუ კარდა კარ ჳთხოვოთ ხოლმე მოწყალება და სხჳს საქო-

ჩელს კი ხელი არ უნდა მოვჰკიდოთ არა-ოდეს .

### თავი . თ .

### განმარტება მეერვე მცნებისა .

კ . მეერვე ბრძანებით რას გჳშლის ჩვენ ღმერთი ?

მ . ა . გჳშლის ღმერთი , რათა არა ვჰ-ქმნათ სიცრუით მოწმობა სასამართლო-ში წინაღმდეგად ჭეშმარიტებისა .

ბ . გჳშლის რათა სიცრუით არ ვუჩივ-ლოთ ჳსმეს და არ დავაბეზღოთ ჳნმე ტყუ-ჳლად .

გ . გჳშლის რათა უსამართლო დავა არ გავმართოთ ჳსმეზედ და არ ვეცადოთ სიც-რუით მორევასა დავაში .

დ . გჳშლის რათა არა ვსთქვათ სიცრუე და მეტადრე იმისთანა ტყჳლი , რომლით ზიანი მიეცეს მოყვასსა , და არცა დავა-ტყჳლოთ ჳნმე .

ე . გჳშლის რათა ცილი არ შევსწამოთ

მოყვასნსა გინა სიცრუით არ შევსწამოთ მას ის ცოდვა და ის ბრალი, რომელიც მას არ ექმნას სრულიად.

ვ. გჳშლის ღმერთი ძრახვასა გინა თქმასა მოყჳსის იმ ბრალისასა, რომელი თუმც კი ექმნას იმას, მაგრამ არ იყოს ცნობილი საქვეყნოდ.

ზ. გჳშლის ღმერთი მოყჳსზედ ავს ლაპარაკსა, სხჳს დაფარული ცოდჳს განცხადებასა (თჳნიერ დიდი და საჭირო სარგებლობის წამოსვლისა იმ განცხადებისაგან) და მოყჳსის სახელის გატეხასა.

ჱ. გჳშლის ღმერთი უსაფუძვლოდ და გლისპურად გასამართლებასა მოყჳსისასა გინა ბოროტის მომქმედად და ბრალიერად შერაცხვასა მოყჳსისასა უსაფუძვლო ნიშნების და მსუბუქი მიზეზების გამო.

თავი . ი .

განმარტებაჲ მეცხრე მცნებისა

კ . მეცხრე ბრძანებით რას გჳშლის ჩვენ ღმერთი ?

მ . მეცხრე ბრძანებით გჳშლის ღმერთი ბოროტს გულის თქმასა, რათა არ ჳნატროთ უჯერო და უწმიდური რამე სიამოვნებას, ანუ ხორცის სიწმიდის წინაღმდეგი რაჲმე საქმე, და არცა შეჳგჳანოთ ნებიერად ბოროტს და უწმიდურს ფიქრებში .

თავი . ია .

განმარტებაჲ მეათე მცნებისა .

კ . მეათე ბრძანებით რას გჳშლის ჩვენ ღმერთი ?

მ . მეათე ბრძანებით გჳშლის ღმერთი ნატვრასა სხჳს საქონლის უსამართლო-

ზით შეძენისასა. ამისთჳს არ უნდა ჳნა-ტროთ სხვის საქონელი ოდესცა არ შეგჳძლიან ჯეროვნად შეძენა მისი. ბოროტნი გულის თქმანი გინა ბოროტ-ნი ნატვრანი არიან წყარონი ყოველთა ცოდვათა, რადგან ჩვენ არ ვიქმთ ბო-როტსა უკეთუარ უჯერო სიყვარულისა-თვის ანუ დიდებისა ანუ პატიჳსა, ანუ ფულისა და ანუ გემოთ მოყვარებისა გინა სიამოვნებისა, და ამისთვის ფრიად უნდა უფრთხილდეთ ხოლმე ამფერთა ვნებათა გინა ამფერსა ჟინსა ცოდვაში ჩავარდნე-ლობისათჳს.

## თავი. იბ.

### წმიდა ეკკლესიის ბრძანებათა ზედა.

კ. რავდენი არიან წმიდა ეკკლესიის ბრძანებანი?

მ. არიან ექვსნი ესენი.

ა. კჳრასა და ჳუქმე დღეს სრული წირჳს მოსმენა

ზ. განწესებულს დღეებში მარხჳს და მარხულობის შენახვა როგორც ბრძანებული არის წმიდა ეკკლესიისაგან.

გ. წელიწადში მაინც ერთხელ აღსარების თქმა.

დ. აღდგომის დღიებში ზიარება.

ე. ყოველი მოსავალისა და მონაგებისაგან ათის თაჳს მიცემა, საეკკლესიოდ.

ვ. დაშლილ დღიებში არა ქმნა ქორწილისა.

კ. შეგჳძლია, რომ ეგ ყოველა ბრძანებანი შეჳნახოთ?

მ. ჩ͠ე შეგჳძლია, ღვთის მადლითა.

თავი. იგ.

მადლსა ზედა ღვთისა.

კ. რა არის ღვთის მადლი?

მ. არის ნაყოფისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი უფასურად მოცემული ზეშთაბუნებრიჳ ნიჭი და შეწევნა ღვთისა, რომლით განვეშორებით ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტსა და ვიმოქმედებთ კეთილსა.

კ. რამდენ ნაირი მადლი არის.

მ. ორ ნაირი ჯთამც, განმაწმედელი მადლი და შემოქმედებითი მადლი.

კ. განმაწმედელი მადლი რა არის?

მ. ის არის, რომელიც გაგვწმენდს ცოდვათა ჩვენთაგან და გვყოფს ჩვენ განმართლებულს და მოსაწონარსა წინაშე თვალთა ღვთისაია.

კ. შემოქმედებითი მადლი რა არის?

მ. არის ის შეწევნა ღვთისა, რომელსაც მოგვცემს ჩვენ ღმერთი ყოველს ჟამს, რათა მით განვეშოროთ ბოროტსა და ჯმოქმედოთ კეთილი.

კ. რით დავჰკარგამთ ჩვენ ღვთის მადლსა?

მ. განმაწმედელ მადლს დავჰკარგამთ მომაკვდინებელი ცოდჳს ქმნითა, ხოლო შემოქმედებით მადლს დავჰკარგამთ მაშინ ოდეს ვუწინაღმდეგებთ მას და არ მივჰყვებით შინაქროლვასა ღვთისასა.

კ. ღმერთი რით მოგვცემს ჩვენ თაჳს წმიდა მადლსა?

მ. ღმერთი მოგვცემს ჩვენ თაჳს წმიდა მადლსა წმიდა ეკკლესიის საიდუმლოებ-ითა, ლოცჳთა, და კეთილ-მოქმედების ქმნითა.

---

## ნაწილი მეოთხე.

### წმიდა ეკკლესიის საიდუმლოთა ზედა.

### თავი. ა.

### ნათლის ღებასა ზედა.

კ. რავდენი არიან წმიდა ეკკლესიის სა-იდუმლონი?

მ. არიან შჳდნი ესენი.

ა. ნათლის ღება. ბ. მირონის ცხება.

გ. აღსარება. დ. ზიარება. ე. მღვ-დლის კურთხევა. ვ. გჳრგჳნის კურთხე-ვა. ზ. ზოლოზეთის-ცხება.

კ. ნათლის ღება რა არის?

მ. არის ერთი საიდუმლო წმიდა ეკკ-ლესიისა, რომელი ადამის ცოდვას და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმითს ცოდვებს ახოცს ჲ გვყოფს ჩვენ ქრისტიანედ ჲ ღვთის შჳლად.

კ. ჳს შეუძლია მონათვლა ?

მ. საზოგადოდ მღვდელსა, მაგრამ დაჭირებაში ყოველსა ვისმეს შეუძლია მონათვლა, კაცი იყოს თუ დედა კაცი, ოდომც იცოდეს რიგი მონათვლისა.

კ. როგორ უნდა მონათლოს კაცმან უმარწჳლო დაჭირებაში როიცა უნათლავად კჳდება ?

მ. იმისთანა დაჭირების დროს მომნათლავმა, ჳთარცა ეკკლესია ნათლამსო იმ აზრით ბუნებითი წყალი უმარწჳლს თავზე უნდა დაასხას ჲ თან იმავე დროს ერთხელ ასრე სთქვას, მე გნათლამ შენ სახელითა მამისათა, ჲ ძისათა, ჲ სულისა წმიდისათა, ა მ ი ნ.

თავი. ბ.

მირონის ცხებისა ზედა.

კ. მირონის ცხება რა არის ?

მ. არის ერთი საიდუმლო წმიდა ეკკლესიისა რომ მონათლულთ დაგვამტკიცებს ჩვენ იესო ქრისტის სარწმუნოებაზედ, და განგვაძლიერებს რომ ცხადათ ვაღჳაროთ სარწმუნოება ქრისტეს მტერების წინაშე.

კ. ჳნ არის მსახური მირონის ცხებისა?

მ. ეპისკოპოზი, და ეკკლესიის ნებით მღდელიცა.

თავი. გ.

აღსარებასა ზედა.

კ. აღსარება რა არის?

მ. არის ერთი საიდუმლო წმიდა ეკკლესიისა, რომელი ახოცს ცოდვათა, რაც გჳქმნია ჩვენ შემდგომ ნათლის-ღებისა.

კ. სრული აღსარების ქმნისათჳს რავდენი საქმენი ეჭირებიან?

მ. ხუთნი ჳთამც. ა. ჩხრეკა. ბ. სინანული. გ. პირობის დადება.

დ. აღუარება ცოდვათა გინა განდობა
ე. საკანონის გარდახდა.
კ. რა არის ჩხრეკა?
მ. ჩხრეკა არის ფრთხილი გამოძიება გულის ტანჯჳსა ჲ მოგონება თჳსი ნაქმნარი ცოდვებისა. ამისთვის კაცმან უნდა მოიფიქროს ჲ მოიგონოს თჳსი ნაქმნარი ცოდვები რაც უქმნია ფიქრითა, სიტყჳთა, საქმითა ჲ გარდამავალობითა.

კ. რა არის სინანული?
მ. სინანული არის გულის წუხილი ჲ მოძულება თჳსი ნაქმნარი ცოდვებისა, ამისთჳს უნდა ნანობდეს კაცი ყოველს თჳს ცოდვებზედა ამ მიზეზისათჳს რომ შეუწყენია ჲ გაუმწარებია ღმერთი თჳსი ცოდვებითა; ჲ ამასთანვე დაუკარგია სასუფეველი ჲ მოუგია ჯოჯოხეთი.
კ. რავდენ ნაირი სინანული არის?
მ. ორ ნაირი ჳთამც სრული ჲ უსრული სინანული.

კ. რომელი არის სრული სინანული?
მ. სრული სინანული არის ერთი გუ-

ლის წუხჳლი, რომლითა კაცი სწუხს და ნანობს ყოველს თაჳს ცოდვებზედა მხოლოდ იმისთჳსა რომ იმ ცოდვებითა შეუწყენია განუზომელად კეთილი და ყოვლად საყვარელი ღმერთი და ამასთან სდებს იგი მტკიცე პირობასაცა იმიერით არღარ შეცოდებისასა.

ეს სრული სინანული სწრაფად მიუტევებს ცოდვებსა, ოდონდა მონანულს ნატრა ჰქონდეს თაჳს დროზედ აღსარების თქმისა.

კ. რომელი არის უსრული სინანული?

მ. უსრული სინანული არის ერთი გულის წუხჳლი, რომლითა კაცი სწუხს და ნანობს ყოველს თავის ცოდვებზედა, იმისთჳს რომ იმ ცოდვებითა დაუკარგია სასუფეველი და მოუგია ჯოჯოხეთი.

ეს უსრული სინანული მხოლოდ მაშინ მიუტევებს კაცს ცოდვებსა როდესაც მიიღებს იგი მღვდლისაგან ახსნასა.

კ. რა არის პირობის დადება?

მ. პირობის დადება არის ერთი მტკიცე და მკჳდრი ნება იმიერით არღარ შე-

ცოდებისა, ამისთჳს უნდა გარდასწყჳ-ტოს კაცმან თჳს აზრში რომ იმიერით არღარა ჰქმნას ცოდვა და მოშორდეს ცო-დვის ახლო მყოფს მიზეზებსაცა.

კ. კარგს პირობის დადებას რავდენი თუობა სჭირია?

მ. ოთხი თუობა სჭირია.

ა. პირობის დადება უნდა იყოს ქმნი-ლი ჭეშმარიტის გულითა.

ბ. უნდა იყოს მტკიცე, ასრე რომ არც ერთს შემთხვევაში არღარ ენდოდეს ცო-დჳს ქმნა.

გ. უნდა იყოს საყოველიერო, ესე იგი, იმიერით არც ერთი ცოდჳს ქმნა აღარ უნდოდეს.

დ. უნდა იყოს გამკვეთი, ესე იგი, იმ-იერით იხმაროს ყოველი შესაძლო საშუ-ალობა ხელმეორედ შოდვაში შთაუვარდ-ნელობისათჳს და მოშორდეს ცოდჳს მი-ზეზებსაცა,

კ. რა არის აღჳარება ცოდვათა გინა განდობა?

მ. განდობა არის სიმართლით დაბეზ-

ლების თავსა თჳსისა და სრულად აღჳარებისა ყოველთა მოქმედებულთა ცოდვათა თჳს-თა წინაშე ერთი იმფერი მღვდლისა, რომლისათჳს თაჳს იეპისკოპოზსა მიე-ცეს ნება აღსარების სმენისა.

ამისთჳს მომაკვდინებელი ცოდვები რაც-კი ახსოვს კაცს ყოველნივე უნდა აღჳა-როს და უთხრას განდოს მამას აღსარე-ბაში, და რაც ეჭჳთ ახსოვს, ისიც ისე ეჭჳთვე უნდა უთხრას. ამასთანვე უნდა უთხრას მომაკვდინებელი ცოდვების სა-თვალავიც რანაირათაც ახსოვს; და რასაც განდოს მამა დაჰკითხავს ცოდჳს გარე-მოების გამოსაძიებლად, ყოველი ჭეშ-მარიტებით უნდა უპასუხოს.

გ. რამდენ შემთხვევაში აღსარება გაუ-ქმდება და უსარგებლო შეიქმნება?

მ. ამ ხუთს შემთხვევაში:

პირველად თუ ჳნმე დააკლებს ამ საჭი-რო თუობათა გინა დამზადებათაგან ერ-თსა და ერთსა, ჳთამც ან ჩხრეკას ან სი-ნანულს, ან პირობის დადებას, და ისე უგამოთოდ გაენდობა, ანუ თუ დამალავს

აღსარებაში რომელსამე მომაკვდინებე-
ლს ცოდვასა, მაშინ ის მისი აღსარება
ფუჭად წაივლის.

მეორედ თუ ჳსმეს მოუბარის ან წარუ-
ტაცნია რამე, ან ზიანი მიუცია ჳსმესათჳს
უსამართლოებით, და არა აქვს ნება იმ სხჳს
საქონლის პატრონისათჳს შებრუნებისა
და იმ ზიანის შესრულებისა;

მესამედ თუ სახელი გაუტეხია ჳსმესა-
თჳს და არ უნდა მისი გამრთელება.

მეოთხედ თუ გულ-ძჳრად არის ჳსმეს-
თან და არ მიუტევებს გულით მტერსა.

მეხუთედ თუ ჳნმე იმყოფება ახლო მყ-
ოფ ცოდჳს მიზეზში და არ უნდა იმ ცო-
დჳს მიზეზისაგან განშორება, რომლის
მიზეზითაცა იგი ხშირად სცოდავს ღმე-
რთისა მამაკვდინებელი ცოდჳთა, ამისთა-
ნა ჳსმეს აღსარება ფუჭი და უსარგებლო
იქმნება, რადგან ამით გასტეხს იგი
ღვთის ბრძანებასა და გააუპატიურებს აღ-
სარების საიდუმლოსაცა.

ჳ. თუ ჳნმე არა ურიგოდ და დაუმზადე-
ბლივ განდობილა რა უნდა ქმნას მან აღ-

ფერი ურიგოდ ნათქვამი აღსარებისა გა-
სამრთელებლად ?

მ. ჳნც ასე ურიგოდ და დაუმზადებლივ განდობილა, საჭირო გაუხდება იმას რომ თუ ის ურიგოდ ნათქვამი აღსარება და თუ იმის შემდგომ რამდენი აღსარებაც რომ უთქვამს ყოველნივე ხელახლავ სთქვას კარგის დამზადებითა, რადგან ყოველნიცა ფუჭნი ყოფილან იმ პირველი ურიგოდ ნათქვამი აღსარების მიზეზითა.

კ. რა არის საკანონის გარდახდა ?

მ. საკანონის გარდახდა არის ნებიერად შეწყნარება და აღსრულება იმ რაჲმებისა, რომლებსაც საკანონოდ მისცემს განდოს მამა აღსარებაში.

კ. აღსარების შემდგომ რა უნდა ჰქმნას კაცმან ?

მ. აღსარების შემდგომ დიდი მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა რომ ჰპოვა მოწყალება მისი და შეურიგდა იმას აღსარებითა, და შემდგომ რიერთიც შეუძლია შეუყოვნელად, თუ ჳსმესთჳს სახელი გაუტეხია, უნდა გაუმთელოს. თუ

ზიარნი მიუცია, უნდა შეუბრუნოს, თუ ჯე[illegible] სმეზედ გულ-ძჯრად ყოფილა უნდა შერიგდეს მასთან, ცოდჳს მიზეზებსაც მოშორდეს და ეცადოს თავჳსი სიცოცხლის გამოცვლასა და გასწორებასა.

## თავი. დ.

### ყოვლად წმიდა ზიარებასა ზედა.

კ. რა არის წმიდა ზიარება?

მ. არის კორცი, სისხლი, სული, და ღვთაება, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი პურისა და ღჳნის სახის ქვეშ.

კ. პური და ღჳნო როდის შეიქმნების ქრისტეს კორცად და სისხლად?

მ. როდესაც მღვდელი, წმიდა წირვაში, პურზედ იტყჳს: ესე არს კორცი ჩემი, და ღჳნოზედ: ესე არს სისხლი ჩემი.

კ. მაგ წმიდა სიტყვების წარმოთქმის შემდგომ, ის პური და ღჳნო, ისევ პურად და ღჳნოდ გამოჩნდებიან თუ არა?

მ. თუმც პურად და ღჳნოდ გამოჩნდე-

ზიან; მაგრამ იმიერითგან არც პურისა არს და აღარც ღჳნო; არამედ ქრნსტეს ჭეშმარიტი ჴორცი და სისხლი არის.

კ. რასათჳს?

მ. ამისთჳს რომ არც პურში პურის არსება არის, და არცა ღჳნოშიდ ღჳნის არსება არის; არამედ მხოლოდ პურისა და ღჳნის სახენი დარჩებიან.

კ. რომელი არის სახე პურისა?

მ. არის სომგურგლე, სითეთრე, გემო და სხვაც.

კ. რომელი არის სახე ღჳნისა?

მ. არის ფერი გემო და სხვაც.

კ. ქრისტეს ჴორცი წმიდა ზიარებაშიდ ცოცხალი არის თუ მკვდარი?

მ. ცოცხალი არის.

მ. თუ რომ ცოცხალი არის მაშ თან თაჳსი სისხლიც აქვს?

მ. დიაღ სისხლიც თან აქვს.

კ. როდესაც ვეზიარებით ჩვენ პურის სახითა, მარტო ქრისტეს ჴორცს მიჳღებთ თუ სისხლსაც თან მიჳღებთ?

მ. ორსავეს მიჳღებთ; რადგან ქრის-

ტე წმიდა ზიარებაში ცოცხალი არის, და მით კორცი სისხლისაგან განუყრელი არის, და სისხლიც კორცისაგან.

კ. მაშ მღვდელი რაჟამს ორი სახით მიიღებს და ერი მხოლოდ ერთი სახითა ორნივე თანასწორედ მიიღებენ?

მ. დიაღ ორნივე თანასწორედ მიიღებენ.

კ. როდესაც მღვდელი სეფისკვერს განსტეხს იმითი მრევალ ნაწილად განიტეხების ქრისტეს კორცი თუ არა?

მ. არა, მაგრამ მარტო პურის სახენი განიტეხებიან,

კ. ქრისტეს კორცი და სისხლი ყოველს დაწვრილებულს სეფისკვერის ნაწილში და ღჳნის სახის ყოველს წვეთში მრთლად იპოების თუ არა?

მ. დიაღ რაგინდ რომ წვრილი იყოს, ქრისტეს კორცი და სისხლი ყოველს თჳთოეულს ნაწილებში მრთლად და განუყრელად იპოების.

კ. წმიდა ზიარების მიღებით რა მადლს მიჳღებთ?

ეროვნული

მ. ჩვენ ქრისტესთან შევერთდებით, და ქრისტე ჩვენთანნა, რომელიც განგვაძლიერებს რომ ხელახლავ აღარ შთავარდეთ ცოდვაში.

კ. წმიდა ზიარების მისაღებლად რა რიგად უნდა მოვემზადნეთ?

მ. კარგი აღსარების თქმით, და სინანულით ცოდვათაგან უნდა განწმედილნი ჳყოთ, და შუაღამიდგანაც უზმა წმიდა ზიარების მიღებამდისინ.

კ, წმიდა ზიარების მისაღებლად რა სახით უნდა წარვსდგეთ ტრაპეზის წინაშე?

მ. დიდის სიმდაბლით და კრძალჳთ, და თან უნდა განჳახლოთ, სარწმუნოება, იმედი, და სიყვარული.

კ. წმიდა ზიარების მიღების შემდგომ რა გვმართებს?

მ. მაინც თუთხმეტი მინუტი უნდა დავდგრეთ ეკკლესიაში; მადლობა უნდა მოვახსენოთ იესო ქრისტესა, იმ მიღებული კეთილისათჳს; და ჳთხოვოთ მისგან სულიერი და კორციელი წყალობანი.

## თავი. ვ.

### მღვდლის კურთხევასა ზედა.

კ. მღვდლის კურთხევა რა არის?

მ. არის ერთი საიდუმლო წმიდა ეკკლესიისა რომ იეპისკოპოზის ხელის დადებით იკურთხჳს მღვდელი, და სხვა ეკკლესიის მსახურნიც. მღვდელს მიეცემის შეძლება მღვდელ მოქმედებისა ქრისტეს კორცისა და სისხლისა გინა წმიდა წირჳს თქმისა, ცოდვების ახსნისა, და სხვა წმიდა საიდუმლოების მრევლთათჳს მიცემისა.

## თავი. ზ.

### გჳრგჳნის კურთხევასა ზედა.

კ. გჳრგჳნის კურთხევა რა არის?

მ. არის ერთი საიდუმლო წმიდა ეკკლესიისა, რომელი განუხსნელი და განუყრელი კავშირითა შეჰკრავს და შეაერთებს

ქმარსა და ცოლსა რათა თავანთი ცხოვრებისათჳს შობონ და გაზარდონ შჳლნი ღვთის სამსახურზედა.

## თავი. ზ.

### ბოლო ზეთის ცხებასა ზედა.

კ. ბოლოზეთის ცხება რა არის?

მ. არის ერთი საიდუმლო წმიდა ეკკლესიისა რომ შესანდობელ ცოდვებს და აღსარებაში უნებურად დაჳწყებულ ცოდვებს შეუნდობს და განაძლიერებს სნეულსა, რომ მხნედ დაუდგეს ეშმაკის საცდურთა მძიმე ავათმყოფობაში, და თუ მისი სულის სარგოდ იქმნების ჴორციელს სიმრთელესაც მისცემს მას.

კ. ჳს ეჭირება ბოლო ზეთის ცხება?

მ. მხოლოდ სნეულთა, მღვდელი იყოს თუ ერის კაცი, და თუ დედაკაცი, როგორც იტყჳს უფალი იაკობ მოციქულის პირითა. « უძლურ თუ ჳნმე არს თქვენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკკლესიი-

სათა, და ილოცონ მას ზედა, და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა, და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან, დაღაცა თუ ცოდვა რაიმე ექმნას მიეტევოს მას. იაკ. ე. 14. 15.

კ. ჳნ განაწესა ეგე შჳდნი საიდუმლონი?

მ. უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან. ამისთჳს არავჳს შეუძლია, რომ ამ შჳდ საიდუმლოს მოუმატოს სხვა რაიმე საიდუმლო, ან დააკლოს, ან შეშალოს, და ან გამოცვალოს; რომ ღმერთმან ნუ ჰქმნას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი მეხუთე.

### ცოდვასა, სათნოებასა, და კაცის საბოლოოთა ზედა.

### თავი. ა.

### ცოდვასა ზედა.

კ. რომელი არის აჳ და ბოროტი საქმე რომლისაგან უნდა მოვშორდეთ?

მ. არის ცოდვა.

კ. ცოდვა რა არის?

მ. ცოდვა არის გარდამავალობა და გატეხა ღვთისა და წმიდა ეკკლესიის ბრძანებაებისა, ფიქრითა, სიტყჳთა, საქმითა, და გარდამავალობით ჲთამც ოდეს ნებიერად ჳქმთ ჩვენ იმას რაჲსაც ღმერთი და წმიდა ეკკლესია გჳშლის და ანუ არა ჳქმთ იმასა რაჲსაც ღმერთი და წმიდა ეკკლესია გჳბრძანებს.

კ. რავდენ ნაირი ცოდვა არის?

მ. ორ ნაირი: ჳთამც ადამის ცოდვაჲ, და საქმითი ცოდვა.

კ. ადამის ცოდვა რა არის?

მ. ადამის ცოდვა ის არის რომელიც ჩვენ შობიდგანვე დაგუყვება, და ნათლის-ღებით აღიხოცება.

კ. საქმითი ცოდვა რა არის?

მ. საქმითი ცოდვა ის არის, რომელ-საც შემდგომად ჩვენი ნათლის-ღებისა ჳქმთ ჩვენ ნებიერად, ფიქრითა, სიტყუ-თა, საქმითა, და გარდამავლობითა წინა-მდეგად ღვთისა და წმიდა ეკლესიის ბრძანებისა რომელიცა აღიხოცება აღსა-რებითა.

კ. ფიქრით რავდენ ნაირად შესცოდავს კაცი?

მ. სამ ნაირად, პირველად როიცა ინა-ტრებს, და ინებებს საქმით შესრულებასა რომელიმე ცოდჳსასა. მეორედ როდესაც საქმით ასრულება არ უნდა, მაგრამ მაი-ნც კი ნებიერად ისიამოვნებს იმაზედა. და მესამედ მაშინ როდესაც მოაგონდება რა თჳსი გავლილად ნაქმნარი რაჲმე ცო-

ლვა, განცხრება იმაზედ და იამება[illegible] უმოქმედებია იგი. ხოლო როდესაც კაცი არ შეიწყნარებს და ნებას არ მისცემს ბოროტ ფიქრებსა, მაშინ ცოდვა არ მოხვდება, რადგან ბუნებური რამე ცოდვა არ არის.?

კ. რა არის ამისთანა ბოროტი ფიქრებისა და საცდურების წამალი.

მ. ეს არის რომ სწრაფად განაძიოს კაცმან თჳსი გონებისაგან იმისთანა ბოროტი ფიქრი და თვალ-ყური მოარიდოს მაშინვე ღმერთის მიჰმართოს ლოცჳთა, უცოდო საგნებზედ გარდააყოლოს თჳსი გონება და ცოდჳს მიზეზებს მოშორდეს.

კ. საქმითი ცოდვა რავდენ ნაირი არის?

მ. ორ ნაირი: ჳთამც მომაკვდინებელი ცოდვა და შესანდობელი ცოდჳა.

კ. შესანდობელი ცოდვა რა არის?

მ. შესანდობელი ცოდვა არის ის მსუბუქი სიტყვა, საქმე, ანუ ფიქრი, რომლითაც თუმც შევაწყენთ ღმერთსა მსუბუქ ნივთში; მაგრამ იმით არ დავჰკარგავთ

მის მადლისა და არ შეჲქმნებით ღირსნი ჯოჯოხეთისა .

ბიბლიოთეკა

კ. მომაკვდინებელი ცოდვა რაღა არის ?

მ. მომაკვდინებელი ცოდვა არის ის მძიმე სიტყვა, საქმე, და ანუ ფიქრი რომლით შევაწყენთ მძიმედ ღმერთსა შესანიშვნელს გინა მძიმე ნივთში, და იმით დავჰკარგამთ მის მადლისა და შეჲქმნებით ღირსნი ჯოჯოხეთისა

კ. რავდენი არიან თავნი ცოდვანი ?

მ. არიან შჳდნი ესენი .

ა. ამპარტავნება, გინა ლაღობა .

ბ. ანგაარება, გინა ხარბობა .

გ. მეძაობა, გინა ბოზობა .

დ. მრისხანება, გინა ჯავრიანობა .

ე. ნაყროვანება, გინა ლოთობა .

ვ. შური, გინა გაუტანლობა .

ზ. დაზარება, გინა ზანტობა .

კ. რავდენი ღვაწლნი არიან მაგათი წინამღდეგნი ?

მ. არიან შჳდნი ესენი .

ა. სიმდაბლე .

ბ. უხვობა, გინა გულ-მოწყალება.

გ. ხორცის სიწმიდე, გინა უბიწობა.

დ. მოთმინება.

ე. ზომიერება.

ვ. მოყჳსის სიყვარული.

ზ. მხნეობა და შრომის მოყვარულობა.

კ. რავდენი ცოდვანი არიან რომელნიც ადრე მოგჳსწრაფებენ ჩვენ ღვთის რისხვასა ?

მ. არიან ოთხნი ესენი.

ა. ნებიერი კაცის კჳლა.

ბ. მამად მავალობა, რომელიც წინა-მღდეგი არის ბუნებისა.

გ. ქალის დატანება გლახაკთა.

დ. ფასის დაკლება მუშაკთა.

კ. რავდენი ცოდვანი არიან სული წმიდის წინამღდეგნი ?

მ. არიან ექვსნი ესენი.

ა. უიმედობა ცხონებისა.

ბ. ულირსობაში ყოფნით გაბედვა თაჳსი ცხონებისა.

გ. წინამღდეგობა ცხადის სიმართლისა.

დ. შეშურვება სხჳს მადლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. დაყინებულობა ცოდვათა შინა.

ვ. უსინანულოდ სიკვდილი.

კ. რომელნი ცოდვანი არიან რომლე-ბშიაც წილი აქვს კაცთა სხვასთანა?

პ. არიან უფრო ხუთნი ესენი.

ა. თუ სხვას ასწავლოს ცოდჳს ქმნა.

ბ. თუ სხვას ცოდვა მოუწონოს.

გ. თუ სხვას არ დაუშალოს ცოდჳს ქმნა, როიცა რომ შეეძლოს.

დ. თუ სხვას ხელი მოუწყოს ცოდვა-სა ზედა.

ე. თუ სხვას აჯ ყოფაქცევა აჩვენოს.

კ. რა უნდა ჰქმნას კაცმან რათა რომ ცოდვაში არ ჩავარდეს?

პ. ეს ოთხი რამე უნდა ჰქმნას.

ა. უნდა იფიქროს ხოლმე ხშირად თა-ჳს ოთხს საბოლოოთა ზედა.

ბ. ხშირად უნდა აღსარება სთქვას ხო-ლმე, და საკანონო გარდაიხადოს.

გ. ხშირად და დაუზარებლივ უნდა ილოცოს ხოლმე.

დ. უსჯულოთა, და ბოროტთა ამხანა-გთა არ უნდა გაერთოს, და ავს ყოფა ქცე-

ვაში იმათ არ უნდა მიებაძოს
ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. რავდენი არიან კაცის საბოლოვონი?

მ. არიან ოთხნი ესენი.

ა. სიკვდილი. ბ. განკითხჳს დღე. გინა ღვთის სამართალი.

გ. ჯოჯოხეთი. დ. სასუფეველი.

## თავი. ბ.

*ღვთის სამართლისა, ჯოჯოხეთისა, ლიმბოზისა განსაწმენდელისა და სასუფეველისა ზედა.*

კ. რავდენი ნაირი სამართალი არის?

მ. ორ ნაირი ჳთამც საცალკეო სამართალი და საზოგადო სამართალი.

კ. საცალკეო სამართალი რა არის?

მ. ის არის რომელიც თჳთოეული კაცის სულზედ იქმნება სიკვდილის წამსა.

კ. საზოგადო სამართალი რადა არის?

მ. ის არის რომელიც საზოგადოდ ყოველთა კაცთა სულთა და ჴორცთა ზედა იქმნება ამ სოფლის დასრულების დროს.

კ. რავდენი ნაირი ჯოჯოხეთი არის?

მ. სამ ნაირი; ჳთამც.

ა. ჯოჯოხეთი წაწყმედილი სულებისა.

ბ. ჯოჯოხეთი უნათლაჳ ყმარწჳლე-ბისა რომელს ლიმბოზი ჰქჳან.

გ. ჯოჯოხეთი მართალი სულებისა, რომელს განსაწმედელი ჰქჳან.

კ. წაწყმედილთ ჯოჯოხეთი რა არის?

მ. არის ერთი საშიშარი საპყრობილე, ჭვესკნელ ქვეყნის შუა გულში, სადაც წა-წყმედილნი იტანჯებიან მწარე ცეცხლში უკუნითი უკუნისამდე.

კ. მომაკვდინებელს ცოდვაში მომკვ-დარი ცოდვილების სულნი როდის დაის-ჯებიან ჯოჯოხეთში?

მ. მაშინ როდისაც ცოდვილები მოკვ-დებიან თუარვე.

კ. ლიმბოზი რა არის?

მ. არის ერთი ალაგი, სადაც უნათლაჳ ყმაწჳლების სულნი მიდიან.

კ. უნათლაჳ ყმაწჳლების სულები ლი-მბოზში რამე სატანჯველს სწევენ თუ არა?

მ. არა, მაგრამ ღვთის პირის ხილჳსა-

გან, და სასუფეველის დიდებისაგან საუ-კუნოდ განშორებულნი არიან.

კ. განსაწმედელი რა არის?

მ. არის ერთი ალაგი, სადაც მიდიან ის მართალი სულები, რომელნიც შესანდობელს ცოდვაში, და ან საკანუნოს გარდაუხდელად მომკვდარან, თაჳანთი ვალის გარდასახდელად და იმ მსუბუქი ნაკლებულობის აღსახოცველად.

კ. განსაწმედელის სატანჯველნი საუკუნონი არიან თუ არა?

მ. არა არიან საუკუნონი არამედ დროებითნი, რადგან ეგ მართლების სულები ღვთისაგან განსაზღვრილი იმ თაჳანთი ვალის განსაწმედელში გარდახდის შემდგომ სასუფეველში წავლენ.

კ. ჩვენ შეგჳძლია რითმე იმათი შეწევნა?

მ. დიაღ შეგჳძლია, ლოცჳთა, წირჳთა, მარხჳთა, და სხვა კეთილი მოქმედებითა, რომ მალე გამოჳხსნათ ისინი იმ თაჳანთ სატანჯველთაგან.

კ. სასუფეველი რა არის?

მ. არის ერთი ყოვლად კეთილი ადგი[illegible]ლი ზეცას, სადაც წავლენ თაჲანთი სიკვდილის შემდგომ იმ წმინდანების და მართლების სულნი, რომელთაც სრულიად ცოდვა არა აქუსთ რა; და ან რომელთაც თაჲანთი ნაქმნარი და შენანებული ცოდვების სრული საკანუნო გარდაუხდიათ.

კ. რა ნეტარება აქვსთ იმათა?

მ. ეს არის იმათი ნეტარება, რომ მუდამ ანგელოზებთან ერთად ღვთის პირს ჰხედვენ პირის-პირ, და გამოუთქმელი დიდებით იდიდებიან უკუნითი უკუნისამდე, რომ გვადირსოს ჩვენც კაცთ მოყვარე, და მოწყალე ღმერთმან მამამან, ძემან, და სულმან წმიდამან: ა მ ი ნ.

## თავი. გ.

## სათნოებათა ზედა.

კ. რავდენნი არიან საუფროსო ღვაწლნი?

მ. არიან ოთხნი ესენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. სიბრძნე გინა ჭკჳანობა.

ბ. სიმართლე. გ. ზომიერობა.

დ. სიმხნე.

კ. რავდენი არიან კაცის მტერნი?

მ. არიან სამნი ესენი.

ა. ეშმაკი. ბ. სოფელი.

გ. კორცი.

კ. რავდენი არიან კორცის საგრძნობელნი?

მ, არიან ხუთნი ესენი.

ა. სახილველნი გინა თვალნი.

ბ. სასმენელნი გინა ყურნი.

გ. საყნოსელნი გინა ნესტონი.

დ. პირი გინა გემო.

ე. შესაძრავნი გინა შესახებნი, ხელნი, ფერხნი, და თირკმელნი.

კ. რავდენი არიან სული წმიდის ნიჭნი?

მ. არიან შჳდნი ესენი.

ა. სიბრძნე. ბ. გონიერება.

გ. რჩევა. დ. სიმხნე.

ე. მეცნიერება. ვ, ღვთის მსახურება. ზ. ღვთის შიში.

კ. რავდენი არიან სული წმიდის ნაყოფთა-
ნი? მ. არიან ათორმეტნი ესენი.

ა. სიყვარული. ბ. სიხარული.

გ. მშჳდობა. დ. მოთმინება.

ე. სიტკბოება. ვ. სახიერება.

ზ. სულ-გრძელობა. ჱ. სიმშჳდე.

თ. სარწმუნოება. ი. მშვენიერება.

ია. ქალწულობა. იბ. სამარადისო.
უბიწოება გინა კორცის სიწმინდე.

კ. რავდენი არიან წურთნანი გინა რჩე-
ვანი სახარებისანი?

მ. არიან სამნი ესენი.

ა. ნებიერი სიგლახაკე.

ბ. სამარადისო უბიწოება.

გ. ყოველს რაჟამში მორჩილობა ცო-
დჳს გარდა.

კ. რავდენი არიან სულის ნეტარებანი?

მ. არიან რვანი ესენი.

ა. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ბ. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

გ. ნეტარ იყვნენ, მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

დ. ნეტარ იყვნენ, რომელთაც ჰშიოდესთ, და ჰსწყუროდესთ სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღნენ.

ე. ნეტარ იყვნენ, მოწყალენი გულითა, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

ვ. ნეტარ იყვნენ წმიდანნი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ზ. ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნონ.

ჱ. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

კ. რავდენი არიან ფრიად სასარგებლო საგანნი, რომლებზედაც კაცი დღე და ღამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადის უნდა ფიქრობდეს ?

მ . არიან სამნი ესენი .

ა . წასულნი . ბ . აწინდელნი .

გ . მოსასვლელნი .

კ . რა და რავდენნი არიან წარსულნი ?

მ . არიან სამნი ესენი , ნეტამც თუ კაცნი გულის ხმას ჰყოფდნენ .

ა . ქმნულნი ბოროტნი .

ბ . დატოებულნი კეთილნი .

გ . დრონი უქმად დაკარგულნი .

კ . რა და რავდენი არიან აწინდელნი ?

მ . არიან სიმნი ესენი, ნეტამც თუ კაცნი ჰსცნობდნენ .

ა . თუ რაოდნად მოკლეა კაცის სიცოცხლე .

ბ . თუ რაოდნად ძნელია სულის ცხონება .

გ . თუ რაოდნად ცოტა უნდა იყოს იმათი რიცხვი , რომელნიც ცხონდებიან .

კ . რა და რავდენნი არიან მოსასვლელნი ?

მ . არიან სამნი ესენი , ნეტამც თუ კაცნი შეიტყობდნენ .

ა. სიკუდილი, რომლისაგან უსაწყალესი არა არის რა.

ბ. ღვთის სამართალი, რომლისაგან უსაშინელესი არა არის რა.

გ. ჯოჯოხეთი; რომლისაგან ფრიად მოუთმენელი არა არის რა.

დ. წმიდა წირვა რავდენად განიყოფის, და ან თვითოეულ ნაწილში, წირვის მომსმენელმან რა უნდა იფიქროს?

მ. ოთხ ნაწილად განიყოფის.

ა. ნაწილი წირვისა არის წირვის დაწყობიდგან პურისა და ღვინის შეწირვამდისინ: და ამ დროს კაცმან სინანული უნდა ჰქმნას თავის ცოდვებ ზედა.

ბ. ნაწილი წირვისა არის პურისა და ღვინის შეწირვიდგან სეფისკვერისა და ზედაშის გაწმედამდისინ და კურთხევამდისინ, და მაშინ სურვილით, სიმდაბლით, და კდემით თაყვანი უნდა სცეს კაცმან ქრისტესა.

გ. ნაწილი წირვისა არის სეფისკვერისა და ზედაშის გაწმედიდგან წმიდა ხორცისა და დაუფასებელი სისხლის მი-

ღებამდისინ; და მაშინ ქრისტეს სიყუა-რულისათვის უნდა ითხოვოს კაცმან ღვ-თისაგან მადლი და წყალობა რაც ეჭირე-ბა თავისი სულისა, და ხორცისათვის.

გ. ნაწილი წირვისა არის წმიდა ხორ-ცისა და სისხლის მიღებითგან წირვის დასრულებამდისინ; და ამ ნაწილში თაყ-ვანის ცემით მადლობა უნდა შესწიროს კაცმან ქრისტესა იმ ყოველი სიკეთისათ-ვის, რომელნიც მიუღია მისგან მთელს თავის ცხოვრებაშიდ.

კ. რა არის სავარდე ლოცვა?

მ. არის ქრისტეს მაცხოვარობის საი-დუმლონი ვარდის კონასავით დაწყობი-ლი თუთხმეტ მუხლად, რომლით მივარ-თვამთ ღუთის მშობელს გვირგვინსა.

კ. რომელნი არიან ეგ თუთხმეტი სა-ვარდის საიდუმლონი?

მ. ხუთნი არიან სასიხარულონი.

ა. ხარება ანგელოზისაგან.

ბ. მოკითხუა წმიდა ელისაბედისა.

გ. შობა უფლისა.

დ. მირქმა უფლისა.

ე . ბჭობა იესო ყმაწვილისა მღვდელთ მოძღვართა თანა .

ხუთნი არიან სამწუხარონი .

ა . ლოცვა უფლისა მტილსა შინა .

ბ . შოლტით ცემა მისი სვეტსა ზედა .

გ . დაგვირგვინება ეკლითა .

დ . ჯვარის ტვირთვა .

ე . ჯუარცმა , და სიკუდილი იმავე მაცხოვრისა ჩვენისა .

ხუთნი არიან სადიდებულონი .

ა . აღდგომა ქრისტე უფლისა .

ბ . მისივე ამაღლება .

გ . მოსვლა სული წმიდისა .

დ . მიცვალება ღვთის დედისა .

ე . მისივე დაგვირგვინება , და ამაღლება ყოველ მწყობრთ ანგელოზთაგან უფრო მაღლა .

თავი . დ .

## სახლის უმფროსების მოვალეობათა-ზედა .

კ . რავდენი არიან ის რაიმენი, რომლებზედაც დიდად დავალიანებულნი არიან სახლის უმთვრონი და მშობელნი რათა რომ ასწავლონ იგინი თავიანთ შვილთა, მსახურთა, და სხვა უმცროსთა თვისთა ?

მ . არიან შვიდნი ესენი .

ა . მოვალენი არიან უმთვრონი, რომ თავიანთ უმცროსთ ასწავლონ პირჯვრის წერა, ნაკურთხი წყლის აღება, მამაო ჩვენო, გიხაროდენი, მრწამსი, ღვთის ათნი მცნებანი, წმიდა ეკკლესიის ექვსნი ბრძანებანი, და შჳდნი საიდუმლონი, საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა, და ამათთანვე განათლობისა, და ზიარებისათჳს საჭირო დამზადებანი .

ბ . მოვალენი არიან უმთვრონი რომ

თაჳანთ უმცროსი იესო ქრისტის-ხატის და წმიდა ჯვრის თაყვანის-ცემა, ღვთის-მშობლისა და ყოველთა წმიდანთა ხატთა, და ნაწილთა პატივს ცემა ასწავლონ, და მისცენ კეთილი მაგალითი და კეთილი სწავლა.

გ. მოვალენი არიან უფროსნი, რომ თაჳანთ უმცროსთ ასწავლონ საჭმლის ჭამის წინად და შემდგომ პირ-ჯვრის წერა, მადლობა და დიდება ღვთისა, დილა საღამ ულოცავად არ დარჩნენ, და ხშირად მიახლოვდნენ ხოლმე აღსარების და წმიდა ზიარების საიდუმლოთა.

დ. მოვალენი არიან უფროსნი, რომ თაჳანთ უმცროსთ ასწავლონ ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის სავარდი სამოცდა სამი გიხაროდენი მისი სამოცდა სამი წლის სიცოცხლის პატივსათჳს, რომ ამ ქვეყანაზედ დაჰყო, და შჳდი მამაო ჩვენო მისივე პატივსათჳს, რომ აწ სასუფეველში სული წმიდის შჳდი მადლით შემოსჳლი არის.

ე. მოვალენი არიან უფროსნი, რომ

თაჳანთ უმცროსთ ასწავლონ გჳრგჳნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომ არის ოცდა ცამეტი მამაო ჩვენო , მისი ოცდაცამეტი წლის პატიჳსათჳს, რომ ამ ქვეყანას დაჰყო , და ხუთი გიხაროდენი , მისივე ხუთი დაკოდილობის პატიჳსათჳს .

ვ . მოვალენი არიან უფროსნი , რათა თაჳანთ უმცროსთ საქრისტიანო მოძღვრების წიგნი ასწავლონ , და თუ თჳთან ვერ ასწავლიან , ერის კეთილ მოღვაწე მოძღვარს მისცენ , და იმან ასწავლოს ყოველ ნაირი კეთილ მოქმედება .

ზ . მოვალენი არიან უფროსნი , რომ თაჳანთ უმცროსთ შჳლთ, მოსამსახურეთ, მოახლეთ, და მუშაკთ უქმე კჳრაობით წმიდა წირვა და ქადაგება მოასმენინონ . ამისთჳს ვალად გვძევს რომ წირჳს დაწყობითგან დასრულებამდისინ ეკკლესიიდგან არ უნდა გამოჳდეთ, და ჳნც უქმე კჳრაობით რომჲცა შეეძლოს ან თჳთ არ მოისმენს წმიდა წირვასა , და ან თაჳს უმცროსთ არ მოასმენინებს , მომაკვდინებლად შესცოდავს .

ამის გარდა ვალად სძევსთ მშობელთ და უმფროსთ, რომ თაჳანთ ქვემდებარეთ და შჳლთ საკმაო წერა კითხვა ასწავლონ, ძალად არ მისცენ რომელსამე წოდებაში რაც არ სურდეს ყმაწჳლს სულიერი იყოს თუ ხორციელი. და არცარა უთანამდებოდ ან ხელოსნობის უსწავლელად არ დასტოვონ, რისაც ნიჭი ჰქონდესთ, რომ მომავალში ასცილდნენ ქვეყნის ათას ნაირს უბედურებასა. აგრეთვე დიდად მოვალე იქმნებიან ჳნც შჳლებს კარგად საფუძვლიანად არ ასწავლიან საქრისტიანო მოძღვარებასა, და ეგრედ მადლს სასწავლებელში მისცემენ, და ამით როჲცა თაჳანთი სარწმუნოებისა საფუძვლიანად არა იციან რა, მაშინვე სწავლულობენ განებიერებასა, უთავოსნობასა, ნივთის მსახურობასა, უღთოებასა, და ამით სარგებლობის მაგიერ მოაქვსთ მრავალი ქვეყნისათჳს მრავალნაირი დაქცევა და აოხრება.

დასასრული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ყოველ დღივ სათქმელნი წვრილნი ლოცვანი ყრმათათჳს.

### დილის ლოცვა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ა მ ი ნ.

უფალო და ღმერთო ჩემო, გწირავ შენ გულსა ჩემსა, თაყვანის-გცემ, და მიყვარ ხარ ყოვლითა გულითა ჩემითა.

გმადლობ, რომ დამბადე ქრისტიანედ და დამიფარე ამას ღამესა შინა.

გწირავ შენ ყოველთა საქმეთა ჩემთა; და გევედრები მომანიჭე მე მადლი, რომ არაოდეს შეგაწყინო შენ, და მეტადრე დღევანდელ დღესა.

აქ ჴსთქჳ. მამაო ჩვენო. გიხაროდენ. მრწამსი. საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა, ღვთის ანგელოზო, დიდება მამასა, ღვთის ბრძანებანი, ეკკლესიის ბრძანებანი, და წმიდა ეკკლესიის საიდუმლონი იხილე ზეით ფურც.

41. 17. 10. 45. 57. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვა.

ღმერთო ჩემო, შენ უკეთილესად ჰსცნობ ყოველსა საჭიროებასა ჩემსა, ამისთჳს ნაყოფთა მიერ იესო ქრისტესი საყვარელი ძისა შენისა, და მეოხებითა ყოვლად წმიდა ქალწული მარიამისა, გთხოვ შენგან სიმდაბლით ყოველთა მადლთა მათ შენთა, რომელნიცა საჭირონი არიან ჩემთჳს სიწმიდით გასატარებლად დღევანდელი დღისა. ამასთანვე გევედრები მომანიჭო მე დღეს ყოველნი სულიერნი და ჟამიერნი წყალობანი შენნიცა, ა მ ი ნ.

ლოცვა იესოს მიმართ.

თაყუანისაცემელო იესო, ღვთიურო მაგალითო ყოველი ღვაწლისა, და სისრულისაო, რომლისადმი მიწევნისათჳს ჩვენ ყოველნი უნდა ვცდილობდეთ, მნებავს მე დღეს შეწევნითა შენითა გულს-

მოდგინედ შრომა, რათა შეძლებისაებრ ჩემისა ჳყო შენსაჳთ მშჳდი, მდაბალი, უბიწო, მორჩილი, მომთმინე, უწყენარი, დავედრებული ღვთიურს ნებასა ზედა, მოღვაწე სულთა ცხოვნებისათჳს, კეთილის-მყოფელი ყოველთა, კეთილი მაგალითის მაჩვენებელი ყოველთა, შემასრულებელი ღვთიური ნებისა ყოველსა ჟამსა. ამასთანავე დღეს უნდა ჳხმარო გერძოობითად ყოველი ღონის ძიება, რათა არდარ შთავარდე მე ჩვეულებრივთა ცოდვათა მათ შინა, რომლებშიაც ამის წინათ ხშირათ შთავარდნილვარ, გაჳსწორო ყოვლითურთ ცხოვრება ჩემი, და გავატარო დღევანდელი დღე ესე უცოდოდ მადლითა შენითა, აკურთხე უფალო, ვირობა ესე ჩემი, და მომეც შეძლება შევასრულო ესე ყოველი ეგრეთ ჳთარცა აღგითქჳ ჭეშმარიტის გულითა, ა მ ი ნ.

ლოცვა ღვთის მშობლისა მიმართ.

ყოვლადა წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მა[illegible]მ, დიდის სასოებაო [illegible]

ვედრებ შენ აწ ყოვლითურთ საწყალსა თავსა ჩემსა, და სიმდაბლით გევედრები რათა იყო შემწე ჩემი განსაცდელსა შინა, შესავედრებელი გაჭირვებასა შინა, ნუგეშინის-მცემელი მწუხარებასა შინა, მფარველი ყოვლისა ბოროტისაგან, მზრუნველი ყოველი საჭიროებისა ჩემისათჳს სულიერისა თუ ჴორციელისა და მეოხე თაყვან-საცემელი ძისა მიმართ მენისა დღეს, ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისა და საკუთრად ჟამსა მას სიკვდილისა ჩემისასა, ა მ ი ნ.

განხაროდენ დედუფალო, მოწყალებისა დედაო, ცხოვრებაო, სიტკბოებაო და სასოებაო ჩვენო, განხაროდენ, შენდამი ვღაღადებთ განდევნილნი ევას ძენი შენდამი სულს ჳთქვამთ ცრემლითა და გოდებითა ღელესა ამას გლოჳსა, მაშ ჵი შუა მდგომელო ჩვენო, მოაქციე შენი მოწყალებისა თუალი ჩვენ ზედა. და კურთხეული იესო ნაყოფი მუცლისა შენისა, ამ ექსორიის შემდგომ გჳჩვენე ჩვენ, ჵი მოწყალეო, ჵი კეთილო, ჵი ტკბილო ქალწულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ.

ა. მეოხ მეყავნ ჩვენ წმიდაო ღვთისმშობელო.

მ. რათა ღირს ჳქმნეთ აღთქმათა ქრისტესათა.

ვილოცოთ.

ყოვლის მპყრობელო და სამარადისო ღმერთო, რომელმან დიდებული ქალწულის მარიამისა სული და ხორცი სულისა წმიდისა მიერ უწინარეს განამზადე, რათა მშვენიერად ღირსეული სადგომი ყოფილ იყო ძისა შენისა, მოგვეც ჩვენ გვედრებით რათა რომელნიც მოხსენებითა მისითა ვხარობთ, მისივე მოწყალისა მეოხებითა აწინდელთა ბოროტთაგან და სამარადისოჲსა სიკვდილისაგან დაჳხსნებოდეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, ა მ ი ნ.

გვაკურთხოს ჩვენ ყოვლის-მპყრობელმან ღმერთმან მამამან, ძემან, და სულმან წმიდამან, ა მ ი ნ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მოკლე წირვის რიგი.

### წმიდა წირჳს დაწყობის დროს ჰსთქჳ.

საუკუნო მამაო, გწირავ შენ ამ წირჳს მიერ, იესოსა ძესა შენსა, ყოველი ნაყოფები თურთ ვნებათა მისთა, ა. პატივის საცემლად ღვთიური დიდებულობისა შენისა. ბ. სამადლობოდ აურიცხველთა კეთილთა მათ, რომელნიცა მიმიღია მე შენგან. გ. სალხინებლად ცოდვათა, თუ ჩემთა, და თუ ყოველთა ცოცხალთა, და მიცვალებულთა; და დ. მისაღებლად შენგან საუკუნო ცხოვრებისა, და ყოველი იმ მადლებისა რომელნიცა შესაჭიროებიან მე ცხოვნებისათჳს სულისა ჩემისა.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგჳწყალენ ჩვენ. გ.

სულო ქრისტესო, განმწმინდე მე
ჴორცო ქრისტესო, მაცხოვნე მე
სისხლო ქრისტესო, მასჳ მე
წყალო გვერდისა ქრისტესო, განმბანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე. სატანჯველნო ქრისტესნო, გან-მაძლიერეთ მე. ჰოი სახიერო იესოვ, შემისმინე მე. დაკოდილებათა შენთა შინა დამიცევ მე. ნუ მიმიშვებ მე განყრად შენგან ცოდჳთა. ბოროტისა მტერისაგან განმარინე მე. ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა მიწოდე შენთან. რათა წმიდანთა შენთა თანა გაქებდე შენ უკუნისამდე. ა მ ი ნ.

ლოცვა ყოველთა წმიდანთა მიმართ.

ურიცხვთა სასწაულთა, მოქმედნო, ვედრებათა მსმენელნო ⁊ თქვენდამი მოლტოლვილთა სწრაფად ნუგეშის-მცემელნო, წმიდანო ღვთისანო, წმიდაო ღვთის-მშობელო, წმიდაო მიქაელ, წმიდაო იოვანე ნათლის-მცემელო, წმიდაო მამა იოსებ, წმიდაო პეტრე, წმიდაო პავლე, წმიდაო სტეფანე, წმიდაო ნიკოლა, წმიდაო იოვანე ოქრო პირო, წმიდაო გრიგორ განმანათლებელო, წმიდაო ანტონ მეუდაბნოელო, წმიდაო ანტონ პატოველო, წმიდაო ფრა-

ფრ̃ჩისკე ქსავერიანო, მფარველო ანგელოზო, სახელ-მოდგამო ჩემო, წმიდაო (სახელი), წმიდაო ნინა ქალწულო, და ყოველნო ანგელოზნო, წინასწარ-მეტყველნო, მოციქულნო, მამათ-მთავარნო წამებულნო, აღმსარებელნო, ქალწულნო და ყოველნო წმიდანო, იმეოხეთ ჩემთჳს ღვთისა მიმართ, შემეწიენით, და დამიფარეთ მე ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისა, მატადრე დღესა ამას, და ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა, ა მ ი ნ.

ჟამსა წმიდა არსისა ისთქჳ.

წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ; უფალო ღმერთო ძალთაო, სავსე არიან ცანი, და ქვეყანა დიდებითა შენითა. ოსანნა მაღალთა შინა, კურთხეულ ხარ მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანნა მაღალთა შინა.

ოდესაც მღვდელი წარმო-სთქვამს წმიდა სიტყვებსა და განსწმედს სეფისკვერსა-და ზედაშსა, ისთქჳ ესრედ.

ღმერთო ჩემო, სიყვარულისათჳს ძისა ამის შენისა მომიტევენ ცოდვანი ჩემნი, და მომეც გამძლეობა უცოდვო ცხოვრებასა შინა.

მრწამს უფალო ჩემო იესო, რომ აწმყოდ იპოები შენ აწ ამ წმიდა ზიარების საიდუმლოში, გესავ, და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, და ვს-წუხვარ რომ გავლილს ცხოვრებასა შინა ჩემსა არ შემიყვარებიხარ, არამედ შემიწყენიხარ შენ ფრიად მე განუზომელო კეთილო!

ლოცვა ვიზიტისა წმიდა ზიარების საიდუმლოს მიმართ სათქმელი

ყოვლად საყვარელო უფალო ჩემო იესო, მრწამხარ რომ აწმყოდ იპოები შენ ამ წმიდა ზიარების საიდუმლოსა შინა, გესავ, და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, თაყვანისა-გცემ, და მოკ-კითხავ სიმდაბლით ყოველთა მოყვარულს, და ყოვლად საყვარელს წმიდასა გულსა შავას [illegible]ნსა, გმადლობ იგოდენთა

კეთილთა მათთჳს რომელნიც მოგჳნიჭე-ბის ჩემთჳს, ვსწუხვარ შეწყენისა შენისა-თჳს გავლილს ცხოვრებასა შინა ჩემსა, და გევედრები რათა ამიერით უფროსად ჳრ-ჩიო სიკვდილი ჳრემც შეწყენა შენი მა-დლითა შენითა. მომეც მე წმიდა სიყვა-რული შენი, გამძლეობა უცოდველ ცხოვ-რებასა შინა, სისრულით შესრულება ნე-ბისა შენისა, და დასასრულსაცა სიცოც-ხლისა ჩემისასა კეთილი სიკვდილი. მო-ანიჭე ცოდჳლთა მოქცევა, ყოველთა ცო-ცხალთა უხჳ წყალობა, და მადლისა შინა შენსა მიცვალებულთა საუკუნო განსვე-ნება, ა მ ი ნ.

ოდეს მღვდელი ეზიარება, ჰქმენ შენცა სურვილით ზიარება.

იესო ჩემო, მიყვარხარ შენ, გნატრობ შენ, მოგემთხვევჳ, და მოგესურჳლები შენ და არა მნებავს ამიერით განყრა შენგან უკუნისამდე. ა მ ი ნ.

ვედრება ღვთისადმი ცოცხალთა და მი-ცვალებულთათჳს.

გარდამოავლინე უფალო კურთხევაჲ შენი მშობელთა ჩემთა ზედა, მეგობართა ჩემთა ზედა, კეთილის მყოფელთა ჩემთა ზედა, და მტერთა ჩემთა ზედა, დაიცევ ყოველნი სასულიერო წინამძღვარნი, და სამოქალაქო მმართებელნი ჩვენნი. შეეწიენ გლახაკთა; დატყვევებულთა, სნეულთა, და მომაკვდავთა, მოაქციე მწვალებელნი, და განანათლე ურწმუნონი, რათამცა გიცნან, და შეგიყვარონ შენ იმათაც.

ღმერთო სახიერო, რომლისა მოწყალების განუზომელ არს, შეიწყალენ სულნი ყოველთა ქრისტეს მიერ მიცვალებულთა, და განუსვენენ მათ ყოველთა, რომელთათჳსაცა თანამდებ ვარ მე ლოცვად.

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ უფალო, და ნათლითა სამარადისოჲთა განანათლენ იგინი. განისვენონ მშჳდობით, ა მ ი ნ.

ხოლო დანაშთ დროებში წმიდა წირჳს მოსმენისა, ჰსთქვ ხოლმე სავარდი წმიდის ღვთის მშობლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საღამოს ლოცვა.

თაყვანის-ვცემ შენ, ღმერთო ჩემო, ჲ მიყვარხარ ყოვლითა გულითა ჩემითა, გმადლობ რამეთუ დამბადე, მყავ ქრისტიანედ ჲ დამიფარე დღესა ამას. მომეც მე მადლი, რათა ვცნა ცოდვანი ჩემნი, ჲ შევჳნანო იგინი ჭეშმარიტებით.

აქ ჴსთქჳ ჳთარცა დილის ლოცვაში ითქვა მამაო ჩვენო, გიხაროდენი, მრწამსი, საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა, ღვთის ანგელოზო, დიდება მამასა, საგარდი, და ლითანია წმიდისა ღვთის-მშობლისა, და მერმე შემდეგნი ლოცვანი.

ლოცვა ჳზიფისა წმიდისა ღვთის-მშობლისა მიმართ.

ჵი ყოვლად წმიდაო ქალწულო მარიამ, დედუფალო ცისა ჲ ქვეყნისაო შეუმძგომელო, იმედო, ჲ შესავედრებელო ცოდჳლთაო, მოჳლტჳ აწ შენდამი მე სა-

წყალობელი ცოდვილი ესე, და გევედრე-ბი სიმდაბლით რათა მიმიღო მე მონად შენდა, დამიცვა მარადის ქვეშე მფარვე-ლობისა შენისა, განმარინო ყოველთა განსაცდელთაგან სულისა თუ ჴორცისა, მომიპოვნო ღვთისაგან ჭეშმარიტი სი-ყვარული იესო ქრისტესი, და მჴურვალე-ბა შენი, შემეწიო მე მარადის და მეტად-რე ბოლო წამსა მას სიკვდილისა ჩემი-სასა, შენთჳს მომინდჳა საქმე საუკუნო ცხოვრებისა ჩემისა, და შენ-მიერ მოვე-ლი სიწმიდით დავედრებასაცა სულისა ჩემისასა ღვთისადმი ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა.

საფარველსა ქვეშე შენისა დაფარჳთ და-გჳფარე ჩვენ, წმიდაო ღვთის-მშობელო, სათხოვარსა ჩვენსა ნუ უგულებელს ჰყოფ ჭირთა შინა ჩვენთა, არამედ ყოვლისა წარწყმედილობისაგან გჳხსენ ჩვენ, მარადის ქალწულო დიდებულო და კურთხეულო.

მ. მეოხ მეყავნ ჩვენ, წმიდაო ღვთის მშობელო.

ა. რათა ღირს ჳქმნათ აღთქმათა ქრისტესათა.

ვილოცოთ.

მოგვმადლე, ჩვენ მონათა შენთა უფალო ღმერთო რათა სამარადისოჲთა ცხოვრებითა სულისა და ჴორცისათა, ჳხარებდეთ და მეოხებითა ნეტარისა დიდებულისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა დაჳხსნნებოდეთ აწინდელთ მწუხარებათაგან, და სამარადისოჲთა სიხარულითა ჳშვებდეთ ქრისტეს მიერ უფლისა ჩვენისა.

ანგელოზსან უფლისამან ახარა ქალწულს მარიამსა და მიუდგა სულისა მიერ წმიდისა. გიხაროდენ და სხვა

აჰა მხევალი უფლისა მეყავნ მე სიტყჳსა-ებრ შენისა. გიხაროდენ.

და სიტყუა იგი ჴორციელი იქმნა და დაემკჳდრა ჩვენ შორის. გიხაროდენ.

მ. მეოხ მეყავნ ჩვენ, წმიდაო ღვთის-მშობელო.

ა. რათა ღირს ჳქმნეთ აღთქმათა

ქრისტესათა.   ვ ი ლ ო ც ო თ.

ზევედრებით უფალო გონებათა ჩვენთა შინა შთაღვარე შენი წმიდა ნათლის მადლი რათა რომელთა კარებითა ანგელოზისათა გჳცნიეს განკორციელება ქრისტესი ძისა შენისა. სატანჯველითა მისითა და ჯვრითა მივეწიენოთ დიდებასა შინა აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. ა მ ი ნ.

აღდგომის დღეებში ნაცვლად ანგელოზმახისა ითქმის შემდეგი.

გიხაროდენ დედუფალო ცისაო, ალელუია. რამეთუ რომლის ტჳრთვად ღირს იქმენ, ალელუია. აღსდგა მკვდრეთით ჳთარცა ჰსთქვა, ალელუია. ევედრე ჩვენთჳს ღმერთსა, ალელუია.
მ. იშვებდ და იხარებდ ქალწულო მარიამ, ალელუია.
ა. რამეთუ ნამდჳლვე აღჰსდგა უფალი ალელუია.   ვ ი ლ ო ც ო თ.

ღმერთო, რომელმან აღდგომითა ძისა

შენისა, და უფლისა ჩვენისა იესო ქრის-ტესითა სოფელი განახარე, გევედრებით მოგვმადლე რათა მშობელისა მისისა ქა-ლწული მარიამისა მიერ მიჴდოთ ჩვენ სიხარულნი სამარადისოჲსა ცხოვრები-სანი, მისვე უფლისა ჩვენისა იესო ქრი-სტეს მიერ. ა მ ი ნ.

მიხვრდ რა დასაბამინებლად ჴსთქჳ ესრედ.

ღამიცევ მე უფალო უცოდველად ღამესა ამასა შინა, და განმარინე ყოვლისა ბო-როტისაგან. ა მ ი ნ.

ყოვლადა წმიდაო სამებაო, მომეც მე მა-დლი კეთილად დავედრებისა სულისა ჩე-მისა შენდამი ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა.

იესოვ, მარიამ, და მამაო იოსებ, თქვენ გავედრებ სულსა, და გულსა ჩემსა.

იესოვ, მარიამ, და მამაო იოსებ, შემე-წიენით მე ჟამსა უკანასკნელი მოძაგუდა-ობისა ჩემისასა.

იესოვ, მარიამ, და მამაო იოსებ, თქვე-ნი ჩემთან აწმყოდ ყოფნის ჟამსა, ეღი-რსოს განსვლა მშვიდობით სულსა ჩემსა,

განდობის დამზადებისათჳს.

წაიკითხე ზემორედ ამ საქრისტიანოს ფურც 62-68 რომელიც არის სწავლა-ზედ თუ როგორ უნდა დაემზადოს კაცი აღსარების სათქმელად და როგორც იქ განსწავლის, შენც იმ ნაირად დაემზადე აღსარებისათჳს.

ლოცვა ჩხრეკის უწინ სათქმელი.

მომივლინე უფალო მადლი და ნათელი შენი, რომლითაცა ჳცნა, ჳნანო, და მოჳძულო ყოველნი ცოდვანი ჩემნი და ვა-ღჳარო იგინი გარკვევით ჩემს მოძღვარ-თან, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს მიერ, ამინ.

ქალწულო მარიამ, გევედრები მომი-შოვნე მე ღვთისაგან მადლი ჭეშმარიტი სინანულისა, პირობის დადებისა, და კე-თილი აღსარების თქმისა, პატივისათჳს მწუხარებათა მათ, რომელნიც მიიღე შენ ჟამსა ვნებათა იესოსი ძისა შენისა, ამინ.

აქ ჰქმენ ჩხრევა, მოიგონე ვარდუარდ შე-ნი ნაქმნარი ცოდვები გარდაათვარიელე ღვთის ბრძანებანი და იმათი განმარტე-ბანი იბიე ამ საქრისტიანოში ფურცე-ლი 45. წმიდა ეკკლესიის ბრძანებანი და შენი მდგომარეობის თანამდებობანი თუ რა და რა ცოდვა გიქმნია იმათ წინამდ-დეგად, და როდისაც ამ ჩხრევას გაათავებ, მაშინ ჰქმენ ჭეშმარიტი სინანული ყო-ველს შენს ცოდვებზედ, მოიძულე ისინი, მიეც მტკიცე პირობაცა ღმერთსა იმიერით არღარაოდეს შეცოდებისა, და ჰსთქვ მო-ნანული გულითა შემდეგი ლოცვები.

ლოცვანი სინანულისანი აღსარების უწინ სათქმელნი.

ღმერთო განუზომელი სახიერებისაო, აჰა ფერხთა თანა შენთა დავრდომილი, ვჰგიებ მე; თუმცა მართლიად გამცემელი დ̃ განმეორებით შემაწყენელი შენი, არა-მედ მდაბალი გულითა ვთხოულობ აწ შე-ნგან მოტევებასა, დ̃ გევედრები რათა არა განმაძიო მე პირისა შენისაგან, რომელი

არა შეურაცხ-ჰყოფ გულსა დამდაბლებულისა, სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი, და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ჰყოს, ფსალ. ნ. გმადლობ უფალო ჩემო, რომ დღემდე სულგრძელობითი მომითმინე, არ მომკალ ცოდვაში, და არ მიმაგლინე ჯოჯოხეთად, ჳთარცა ღირს ჳყავ მე მისი, რომლისათჳს ჳმედოვნებ რომ აწცა ნაყოფისათჳს ისოსი ქრისტესი ძისა შენისა, მომიტევებ მე დღეს ამა აღსარებითა ყოველთა ცოდვათა ჩემთა, რომლებითა რადგან მომიგია ჯოჯოხეთი, და დამიკარგავს სასუფეველი, ამა მიზეზისათჳს ვსწუხვარ და ვნანობ მათ ზედა. მაგრამ არა ეგოდენად მოგებისათჳს ჯოჯოხეთისა, რაოდენათაც ვსწუხვარ მე უმეტესად მისთჳს რამეთუ ცოდვებითა მით შემიწყენიხარ შენ ყოვლად სრული კეთილი ეგე, მიყვარხარ შენ ჵი დაუსრულებელო საზიერებათა, და რადგან მიყვარხარ, ამისთჳს ვნანულობ ყოვლითა გულითა ჩემითა, ყოველთა ცოდვათა ჩემთა ზედა, რამეთუ მათითა შემი-

წყენიხარ შენ, შემიქცევა ზურგი-შენისა, შეურაცხმიყოფია მადლი და მეგობრობა შენი, და ერთი სიტყჳთ ნებიერად დამიკარგავხარ მე შენ. ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ მე. მომიტევე უფალო სიყვარულისათჳს იესო ქრისტესი ყოვლნი ცოდვანი ჩემნი, რომელთა ზედა ვნანულობ ჭეშმარიტებით, და რომელთაცა ჯძულებ, ვზიზღობ, და შეურაცხ-ვჰყოფ ყოვლითა გულითა უფროს ყოვლისა ბოროტისაგან. ბოლოს ვნანულობ მე არა მარტო მომაკუდინებელთა ცოდვათა ჩემთა ზედა, არამედ შესანდობელთა ცოდვათა ჩემთა ზედაცა; რამეთუ იგინიცა არიან შემაწყენელნი შენნი, და ვსდებ მტკიცე პირობას ამიერით არღარ შეცოდებისასა მადლითა შენითა. ჵ უფალო, რამეთუ ამიერით სიკვდილი უფრო მნებავს ჯრემცდა კვალად შეცოდება შენი. ა მ ი ნ.

ღმერთო ჩემო, რამეთუ ხარ იძიე 16. ფ.

აქ მიახლოვდი აღსარების საიდუმლოსა თქმით· ვაღიარებ წინაშე ღვთი-

სა ყოვლის-მპყრობელისა, და შენს წინაშე მამაო, რამეთუ ფრიად მიცოდებია ფიქრითა, სიტყვითა, და საქმითა: ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ მე.

ლოცვა აღსარების შემდგომ სათქმელი.

საყვარელო ჩემო იესო, რაოდენად თანამდები ვარ მე შენი? რამეთუ ვითარცა ვსასოებ ნაყოფისათვის დაუფასებელი სისხლისა შენისა მომეტევნენ მე დღეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი; გწირავ დიდს მადლობასა ამაზედ, და ვიმედოვნებ მოვიდე ერთ დღეს ცათა შინა, და ვაქო მარადის გამოუთქმელი მოწყალებანი შენნი. ღმერთო ჩემო თუმცა მართლიად დღედმდე კი მრავალ გზის დაგკარგე მე შენ ცოდვითა მაგრამ ამიერით არღარ მნებავს დაკარგვა შენი: ამისთვის ამ დღიდგანვე მნებავს ჭეშმარიტებით გამოცვლა სიცოცხლისა ჩემისა, შენ ღირსად გეკუთვნის მრთლივად სიყვარული ჩემი, და მეც მნებავს ამიერითგან ყოვლითურთ შეყვარება შენი, და არ მნებავს ხილვა თავისა ჩემისა განყრილად შენგან ოდესმე, ამისგამო ვითარცა წელა-

ნაც შემოგპირდი, ახლაც იმავ[illegible] ხელმეორ გპირდები მასვე, რომ ამიერით უნდა ჯრწიო მე უმეტესად სიკვდილი ჯ-რემცლა შეწყენა შენი. ამასთანვე გპირდები ცოდჳს მიზეზთაგანაც განშორებასა, დ ხმარებასა (ამა დ იმა) საშუალობათა რათა არღარ ჩავარდე მე ცოდვაში. მაგრამ იესოვ ჩემო, რომლი ჴსცნობ უძლურებასა ჩემსა, მომანიჭე მე მადლი კეთილად დაცჳსა პირობათა ამათ ჩემთა ჳდრე სიკვდილადმდე, დ მოლტოლჳსაცა შენდამი ჟამსა განსაცდელისა ჩემისასა წმიდაო მარიამ რომელი ხარ დედა უცოდველობამდე გამძლეობისა, შემეწიე მე, შენზედ დამიცს ყოველი სასოება ჩემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წმიდა ზიარების მიღებისათჳს.

წაივითხე ზემორედ სწავლა წმიდა ზიარებასა ზედა ფურცელი 69.

### ლოცვანი წმიდა ზიარების მიღების უწინ სათქმელნი.

მრწამს უფალო ჩემო იესოვ, რომ აწმყოდ იპოები შენ ამ წმიდა ზიარების სა-

იდუმლოსა შინა, იმედი მაქვს რომ მო-
მმადლებ მე მოტევებასა ცოდვათა ჩემ-
თასა, ჩემი სულის ცხოვნებისათჳს ყოვე-
ლთა საჭირო მადლთა, და საუკუნო ცხო-
ვრებასა. მიყვარხარ შენ უფროს ყოვლი-
სა რაჲმისაგან, უფროს თავსა და ცხოვ-
რებისა ჩემისაგან, რამეთუ ხარ შენ განუ-
ზომელი კეთილი ყოვლად სრული, და ყო-
ველი კეთილი. ამის გამო ვსწუხვარ რომ
გავლილს ცხოვრებასა შინა ჩემსა არ შე-
მიყვარებიხარ, არამედ შემიწყენიხარ შენ
ფრიად. მძულს ყოველნი ცოდვანი ჩემნი
უფროს ყოვლისა ბოროტისაგან, და ვნა-
ნულობ მათ ზედა შეწყენისა შენისათჳს,
მნებავს ამიერით სამსახური შენი, ბრძა-
ნებათა შენთა დაცვა, შეყვარება შენი უკუ-
ნისამდე, და უმეტეს დაკარგვა ყოვლისა
რაჲმისა და ყოველი ზიანი, ჯრემც კვა-
ლად შეწყენა შენი მადლითა შენითა, განა-
ტრობ უფალო და ფრიად მსურის მოს-
ვლა შენი გულსა შინა ჩემსა, მოვედ შ̃ი
ცხოვრებაო ჩემო, განსწმიდე სული ჩემი
მომეც წმიდა გამძლეობა, ნუ მიმიშვებ

შე. ოდესმე განყრად შენგან ცოდვათა, და ჟამსა სიკვდილისა ჩემისასაცა ღირს მყავ რათა სიწმიდით დაგავედრო შენ სული ჩემი მეოხებითა წმიდისა ღვთის მშობლისა, და ყოველთა წმიდათა შენთა . ა მ ი ნ.

აჰა უფალო მოვდივარ შენთან სიმდაბლით ჳთარცა სნეული, ზეციერს მკურნალთან, განსაკურნებლად სულისა ჩემისა და ჳთარცა გლახაკი უფალთან ცისა და ქვეყნისა განსამდიდრებლად სულისა ჩემისა. მოვდივარ ერთ კერძოდ მონანული, დამდაბლებული და შერცხვენილი ცოდვათა გამო ჩემთა, და მეორე კერძოდ სავსე სასოებითა განუზომელი მოწყალებისა მიმართ შენისა. ჵი ღმერთო სიყვარულისაო, აჰა ფერხთათანა შენთა ვჰგიებ მე უფრო ყოვლისა უდიდესად სნეული და გლახაკი, და გევედრები რათა შემაერთომე შენთან, რომლითაც შეჰქმნა გამოჩენილი მდიდარი, და წარჩინებული პირი წინაშე თვალთა შენთა. ჰყავ უფალო სასწაული ესე შესაბამი ყოვლის მპყრობელო-

ბიბლიოთეკა

ზისა, და სიყვარულისა შენისა. შენ[illegible] დედაო ჩემო მარიამ, მომეც მე აწ ძე შენი გლახაკსა ამას, რომელი ჯვარით ხელთა შენთაგან მიღებისა მისისა, ვნატრობ მისს მიღებასა, და არქჳ მას ჳთარმედ მე შენი მონა ვარ, რათა იმანაც უფრო დიდითა სიყვარულითა შემიტკბოს მე გულსა თჳსსა, მოვა რა იგი აწ დღეს ჩემთანა, ა მ ი ნ.

წმიდა ზიარების მიღების შემდგომ სათქმელნი.

განუზომელს მადლობას გწირავ სახიერო უფალო, ჩემო იესოვ, დიდისა წყალობისა ამისათჳს, რომელ მე უღირსი ესე ღირს მყავ მიღებად ყოვლად წმიდა ჴორცისა და დაუფასებელი სისხლისა შენისა, და თჳთ ღმერთი ეგე მოხვედ დამკჳდრებად სულსა შინა ჩემსა. კურთხეულ არს მობრძანება შენი უფალო, სიმდაბლით თაყვანის-გცემ, და დიდის წადილითა გულისა ჩემისათა მოგემთხვევჳ, და მოგესურჳლები შენ ცხოვრებაო ჩემო,

ამიერით აღარ მწებავს განშორება შენ-
გან, არამედ მარადის ცხოვრება და სიკ-
ვდილი შენთან ერთად საუნჯეო ჩემო,
გწირავ შენ სულსა კორცსა ყოველსა
ზრახვასა, ნატვრასა, სიტყვასა, საქმესა,
და მრთელსა ცხოვრებასა ჩემსა, და მწება-
ვს ხმარება, წარგება, და ქმნა ყოვლისა
ამის ყოვლითურთ შესაყვარებლად, სასა-
მებელად, და სადიდებლად შენი, რადგან
სხვა არა რაჲსა ვნატრობ გარნა მას, რა-
თა ამიერით შეგიყვარო, და გასიამოვნო
შენ მარადის. ამისთჳს გევედრები უფა-
ლო, შემკარ და დამაკავშირე მე სიყვარუ-
ლითა შენითა ეგრედ მტკიცედ, ადრელა
არაოდეს შემეძლოს მე განყრა შენგან,
შესცვალე გული ჩემი და ჰყავ ესე ყოვლა-
დვე თანახმა ნებისა თანა შენისა. მომა-
ნიჭე მე წმიდა ნათელი, შიში, და სიყვა-
რული შენი, და მადლი ნებიერი სიგლახა-
კისა, უბიწოებისა, მორჩილობისა, სიმ-
დაბლისა! სიმშჳდისა, მოთმინებისა, და
ყოველთა ღვაწლთა, რათა ყოველნი დღე-
ნი ცხოვრებისა ჩემისანი, უცოდვოდ და

კეთილად გავატარო, და ბოლოს მედ[illegible]-
სოს მე წმიდა სიკვდილი, რათა რომ ამი-
ებით გასიამოვნო შენ გამოუთქმელო კე-
თილო, და განცხონო სული ჩემი, ამისთჳს
ვთხოულობ შენგან ამ წყალობათა სასო-
ებით ღირსებისა შენისათჳს, და საუკუნო-
მამისა შენისაგანცა სახელითა შენითა, და
მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთის-
მშობლისა, და ყოველთა წმიდათა. ესრე-
თვე გევედრები უფალო, მოანიჭე სოფე-
ლსა მშჳდობა, ეკკლესიასა შენსა ერთო-
ბა, მართალთა სიმტკიცე, ცოდჳლთა მო-
ქცევა, კეთილის მყოფელთა ჩემთა, და იმათ
რომელთათჳსაც თანამდებ ვარ მე ლოც-
ვად, ყოველი სულიერი და ჟამიერი კეთი-
ლი, ყოველთა ცოცხალთა უხჳ მოწყალე-
ბა შენი, და შენს მადლში მიცვალებულთა
საუკუნო განსვენება, ა მ ი ნ.

შემდგომ წმიდა ზიარების მიღებისა ჯვა-
რცმის წინ სათქმელი სრული შენდობიანი
ლოცვა.

ყოვლად კეთილო და ყოვლად საყვარე-

ლო ჩემო იესო, აჰა დავრდომილი წი-
ნაშე უწმიდესისა აწმყობისა შენისა, გე-
ვედრები შენ ფრიად აღტყინებული და
მხურვალე გულითა, რათა აღბეჭდო ჩე-
მს გულში გრძნობანი სარწმუნოებისა,
იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა და
წუხჳლისა ცოდვათა ჩემთა ზედა, და მტ-
კიცე პირობის დადებისა ამიერითგან
არღარ შეწყენისათჳს შენი; და ამასთანვე
სრული სიყვარულითა და ფრიადი გულ
მომწვაობითა წარმოჳდგენ და განჳზრა-
ხავ მე წმიდათა ხუთთა დაკოდილებათა
შენთა, დაწყებით ეგრედ ჳთარცა ამბობს
შენზედ, ჵი ღმერთო ჩემო, წმიდა წი-
ნასწარ-მეტყველი დავით: « განხურიტნეს
ჴელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი. და აღრა-
ცხეს ყოველი ძვალები ჩემი » (ფსალმ.,
კა. 16.)

ჰსთქჳ ერთი მამაო ჩვენო, ერთი გიხა-
როდენი, და ერთი დიდება მამასა საჭი-
როებათათჳს წმიდისა ეკლესიისა, და მო-
საგებლად სრული შენდობისა.

სრულო ქრისტესაო იხილე ფურც 102.

განმავალობასა შინა დღისა სათქმელნი
ლოცვანი და ჟფროსი ერთი შუადღის
დროსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლადწმიდა სამებაო, მამაო, ძეო, და სულო წმიდაო, იესოვ, მარიამ, და მამაო იოსებ, ყოველნო ანგელოზნო, და წმიდანო სასუფეველისანო, მოგჳმოვნეთ ღვთისაგან ეს შემდეგნი მადლნი, რომელთაც ვთხოულობთ მისგან დაუფასებელი სისხლისათჳს იესო ქრისტესი.

ა. რათა მარადის ვასრულებდეთ ნებასა ღვთისასა.

ბ. რათა ვჰგიებდეთ მარადის განუყრელად ღვთისაგან.

გ. რათა შეჳყვაროთ ღმერთი ყოვლითა გულითა.

დ. რათა ყოველს საქმესა ჩვენსა ვჰყოფდეთ სადიდებლად ღვთისა.

ე. რათა მარადის ვეცადოთ წმინდად გახდენისათჳს ჩვენი თავისა მხოლოდ სადიდებლად ღვთისა.

ვ. რათა ჳცნათ კარგად არა რაობა ჩვენი თავისა.

ზ. რათა ვსცნათ მარადის ნება ღვთისა და აღვასრულოთ იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულის მოდგინებითა.

იყავნ ყოველსა შინა ქებულ და დიდებულ ამიერითგან ვიდრე უკუნისამდე უმწვერვალესი, სამართლიერი, და სახიერი ნება ღვთისა. ასი დღის შენდობა.

იყავნ დიდებულ და ქებულ ყოველსა წამსა ღვთიური საიდუმლო ყოვლად წმიდა ზიარებისა. ასი დღის შენდობა.

მაცხოვარო ჩემო იესოვ, შენ შემოგწირავ სულსა, კორცსა, და გულსა ჩემსა.

ტკბილო გულო იესოსაო, მომეც მადლი შენი შეყვარებისა მარადის და ფრიად.

კურთხეულ იყავნ სახელი იესოსი, ამიერიდგან ვიდრე უკუნისამდე.

იყავნ კურთხეულ წმიდა და უმანკო ჩასახება ყოვლად ნეტარელისა ქალწული მარიამისა.

(ასი დღის შენდობა.)

კურთხეულ იყავნ სახელი მარიამისა დედისა ღვთისა.

ყოვლად წმიდაო გულო მარიამისაო, მოიღე კურთხევა შენი სულსა ჩემსა ზედა.

## სარჩევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ნაწილი პირველი.

### მრწამსის განმარტებისა ზედა.

სარწმუნოებისა იმედსა და სიყვარულისა ზედა . . . . . . . . . . 5
სარწმუნოების მთავარ ნაწილთა ზედა . . . . . . . . . . . . . . . . 16
წმიდა სამებისა ზედა . . . 19
განკაცებულებისა ზედა ძისა ღვთისა, 23
შობისა, ვნებისა და სიკვდილისა ზედა ქრისტესი . . . . . . . . . 26
აღდგომისა და ამაღლებისა ზედა ქრისტესი . . . . . . . . . . . . . . 31
სული წმიდის მოფენისა ზედა . 34
წმიდა ეკკლესიისა და მრწამსის დანაშთთა ნაწილთა ზედა . . . . . . 36

### ნაწილი მეორე.

ლოცვისა, მოწყალებისა, და მარხვისა ზედა . . . . . . . . . . . . . . . . . . 39

### ნაწილი მესამე.

ღვთის ბრძანებათა და იმათ განმარტე-
ბასა ზედა . . . . . . . . . ; . . 45
ეროვნული ბიბლიოთეკა
წმიდა ეკკლესიის ბრძანებათა და მადლისა
ზედა ღვთისა . . . . . . . . . . . 57

ნაწილი მეოთხე.

წმიდა ეკკლესიის საიდუმლოთა ზედა.
ნათლის ღებასა და მირონის ცხებასა
ზედა . . . . . . . . . . . . . . . . . . 60
აღსარებასა ზედა . . . . . . . . . . . 62
ყოვლად წმიდა ზიარებასა ზედა . 69
მღვდლის კურთხევასა, გჳრგჳნის კურ-
თხევასა და ბოლო ზეთის ცხებასა
ზედა . . . . . . . . . . . . . . . . . . 73

ნაწილი მეხუთე.

ცოდვასა ზედა . . . . . . . . . . . . 76
სამართალსა, ჯოჯოხეთსა, ლიმბოზსა,
განსაწმედელსა, და სასუფეველსა
ზედა . . . . . . . . . . . . . . . . . . 83
სათნოებათა და სხვა ღვთის მსახურების
საგანთა ზედა . . . . . . . . . . . . 85
სახლის უმფროსების მოვალეობათა
ზედა . . . . . . . . . . . . . . . . . . 93
საყოველდღეო ლოცვები ყრმათა-
თჳს . . . . . . . . . . . . . . . . . . 97

ქვემოდ აღწერილი ქართულს ენაზედ დასტამბული კეთლი ზნეობის და ფრიად სასარგებლო წიგნები ისყიდებიან სტამბოლს ჩინილი ხანში ჭოქოციანის მაღაზიაში ნუმერო ; 5. და კალათას სეღიოს ხანში მხითარისტების წიგნის მაღაზიაში ნუმერო , 4.

ფასი ბრომურისა . . . კაპეკი.
წინამძღვარი ზეცისა . . . 30.
გზა ცხოვრებისა . . . . 40.
სიბრძნე კაცებრიჯ . . . . 50.
ბრძენი კაცი . . . . . 40.
თან სატარებელი ლოცვის წიგნი. 50
საქრისტიანო მოძღვარება . 20.
პატარა საქრისტიანო მოძღვარება ქართული ნიანი თურთ მუცთად.

-ესკონტი ასში ათი გინა ვინც ზემო ხსენებული წიგნებისაგან ასს ანუ ასზე ნამეტარს კოპიოს ერთიანად იყიდის იმას ხსენებული ფასებიდგან დაეკლების ას კაპეკში ათი კაპეკი ფული.